გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№110 (1005) 12 – 13 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ცრუ „კაიბიჭების პარადი“ ზონაზე



პატიმრის დღიური

გვ. 8

როგორ ცდილობენ ახალბედა პატიმრები თავის გადარჩენას ციხეში და როგორ ჩაუშვა ცყიბულელმა თანაქალაქელი

# „ამ ხელისუფლების განაჩენი გამოტანილია!“



„პერსონალური მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. ჩემი ახლო და პერსონალური მეგობარი, დიდი ხნის წინ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იყო... მე და ბატონი გიორგი დიდი ხანია აღარ ვმეგობრობთ და ამის მიზეზები ჩვენს შორის დარჩება...“

გვ. 3–4

მეგობრობს თუ არა ალასანიასთან, მარგველაშვილსა და ივანიშვილთან, რა შემთხვევაში მოაწყობს ქართულ „მაიდანს“ და ნაციონალების რა შეცდომებს აღიარებს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი

## ექსკლუზიური ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან

## ნიკა რურუა სააკაშვილთან შეხვედრას აპირებს



გვ. 7

## მორიგი დაპირისპირება ადვოკატთა ასოციაციაში

**ნიკოლოზ მჟავანაძე:** „ეს ყველაზე სამარცხვინო განცხადებაა, რაც ზაზა ხაციაშვილს ოდესმე გაუკეთებია“ გვ. 4

## „მოსახლეობას ზამთრის არ უნდა ეშინოდეს“

რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და როგორ ხვდება მთავრობა ზამთარს გვ. 5

## American Express-ით ამიერიდან Wendy's-შიც ისარგებლებთ

უპრეცედენტო 2-თვიანი აქცია — გამოიყენეთ „ამექსი“ „ვისოლში“, „სმარტსა“ და „ვენდისში“ და მიიღეთ გასამმაგებული ქულები გვ. 9

## გამარჯვების ყოფილ წარმომადგენელს თანასოფლელები კრიმინალში ადანაშაულებენ

ვის ესროლა და რა კავშირი აქვს გელა ნებუნიშვილს კახა შუშანაშვილთან

# რა პროცედურების გავლა დასჭირდებათ უცხოელებს საქართველოს ვიზის მისაღებად



რუსუდან შელია
557-100-768

11 ნოემბერს, პარლამენტში ორი, საგარეო საქმეთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომა იყო ჩანიშნული, თუმცა პრემიერთან და ფინანსთა მინისტრთან უმრავლესობის შეხვედრის შემდეგ დეპუტატების დიდი ნაწილი საკანონმდებლო ორგანოში აღარ დაბრუნდა. შესაბამისად, საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომა ჩაიშალა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა კი, სხდომა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო — სწორედ ეს დრო მოანდომა ეკა ბესელიამ კვორუმისთვის დარბაზში დეპუტატების „მოპატიჟებას“: **„სად არის ზურაბ ტყემალაძე? ბატონი თამაზი ხომ აქ იყო? ბატონო ალი, გთხოვთ, მობრძანდეთ სხდომაზე ხუთი წუთით, სხდომას ვერ ვიწყებთ“...** თამაზ ავდალიანი და ზურა ტყემალაძეც პარლამენტის „რესპუბლიკის დარბაზში“ მობრძანდნენ და სხდომაც დაიწყო. კომიტეტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, „სახელმწიფო ბაჟისა“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებები განიხილა. „უცხოელთა შესახებ კანონში ცვლილებების მომხსენებელი იუსტიციის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე იყო, სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომელიც ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის კანონმდებლობის გამკაცრებას გულისხმობდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსმა, ზვიად ოქროპირიძემ წარმოადგინა...

ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ქვეყანაში სავიზო რეჟიმის განსაზღვრა მიგრაციის პროცესის კონტროლისთვის აუცილებელია, რაც წინა ხელისუფლების პირობებში აბსოლუტურად უკონტროლო იყო. მან კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა: **„ადამიანმა საქართველოში შემოსვლის მიზნის შესაბამისი ვიზა უნდა აიღოს. ანუ თუ უცხოელი საქართველოში სამუშაოდ ჩამოდის, სამუშაო ვიზა უნდა აიღოს, თუ სასწავლებლად, სასწავლო ვიზა და ა.შ. ის პირი, ვინც ჩვენს ქვეყანაში ბინადრობის ნებართვის გარეშე იმყოფება, თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 31 მარტამდე შესაბამისი განცხადებით მიმართავს, არ დაჯარიმდება“.**

ვიზის მისაღებად, შემდეგი პროცედურების გავლაა გათვალისწინებული: უცხოელმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი სავიზო განაცხადი უნდა შეავსოს, მას უნდა დაურთოს მგზავრობის მიზანი და სავარაუდო პირობები. ასევე, მგზავრობისთვის საკმარისი ფინანსური სახსრები უნდა წარმოადგინოს გარკვეულ ვადაში. აუცილებელია პირის ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევაც. საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლის შემთხვევაში კი — „პირის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის გარანტიები“. თუ კანონპროექტი პარლამენტმა დაამტკიცა, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს ვიზის გამცემ ორგანოს უფლება ექნება, საქართველოს ვიზის მიღების მსურველი უცხოელი გასაუბრებაზე რამდენიმე გარემოების გადასამოწმებლად მიიწვიოს, სავიზო განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტებში აღნიშნული მონაცემების ნამდვილობა, ფინანსური სახსრების ლეგალურობა, მგზავრობის მიზანი, მარშრუტი და ხანგრძლიობა შეამოწმოს... არასრულწლოვნებსა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს კი, კანონიერი წარმომადგენლის დამოწმებული თანხმობა დასჭირდებათ.

სხდომაზე წარმოდგენილი იყო ის შემთხვევებიც, რომელიც საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადებას გულისხმობს. თუ საქართველოში მყოფი უცხოელი ავადმყოფობს, ან ფეხმძიმედაა და ექიმის დასკვნის საფუძველზე, მისი შემდგომი მგზავრობა ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის, საქართველოდან გასვლის ვალდებულება გადაუვადდება. გადავადებაა გათვალისწინებული იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოში საქმის წარმოება უცხოელის მონაწილეობით მიმდინარეობს და მისი საქართველოში ყოფნა აუცილებელია...

კომიტეტმა ალექსანდრე ბარამიძის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები ერთხმად მიიღო.



## პრემიერი 17 ნოემბერს ბრიუსელში ნატო-ს გენერალურ მდივანს შეხვდება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა, ვილიამ ლაჰიუმ შეხვედრაზე ისაუბრეს. მხარეებმა ნატო-საქართველოს ურთიერთობების საკითხები განიხილეს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არსებითი პაკეტის მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველომ ნატო-ს უელსის სამიტის შედეგად მიიღო. ისაუბრეს პაკეტით გათვალისწინებული მექანიზმების იმპლემენტაციაზე. გამოითქვა იმედი, რომ განსაზღვრული მიმართულებების განხორციელებით, საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები გაძლიერდება და ქვეყნის უსაფრთხოება გაიზრდება. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზეც, მათ შორის უკრაინის კრიზისზე.

ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა პრემიერ-მინისტრს ISAF-ის მისიაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

*„პირველი“*



## შს მინისტრის მოადგილემ შიდა ქართლში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საგუშაგოები მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ადმინისტრაციის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საგუშაგოებს ესტუმრა. ვახტანგ გომელაური შეხვდა და გაესაუბრა პირად შემადგენლობას. მათ საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს ადგილზე გაეცნო.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საგუშაგოებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-განახლება მიმდინარეობს.

*„ვერსიანიუსი“*

## შსს-მ უკანონო იარაღი და ვაზნები ამოიღო

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ქალაქ ახალციხეში მცხოვრები, 1943 წელს დაბადებული ალი დ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ასპინძის რაიონში, საზაფხულო საძოვრებზე, „ზედა რაყისის“ ტერიტორიაზე, ალი დ-ს საზაფხულო ბინის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 98 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## პრემიერ-მინისტრმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თამარ ბერუჩაშვილი წარადგინა



როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, იმ წარმატებაში, რომელსაც ქვეყანამ ევროინტეგრაციის მიმართულებით მიაღწია, თამარ ბერუჩაშვილს თავისი წვლილი აქვს შეტანილი. პრემიერმა ახალ მინისტრს წარმატებები უსურვა.

აღნიშნული პოსტები მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე თანამდებობიდან გადადგა.

თამარ ბერუჩაშვილი 1961 წლის 9 აპრილს თბილისში დაიბადა. მოსკოვის ლუმუმბას ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის, ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ასევე უცხო ენათა ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტიც დაამთავრა. 2002-2006 წლებში კი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე, ასპირანტურაში ისწავლა. ამის შემდეგ, კარლტონის უნივერსიტეტში კომერციული დიპლომატიაში პროფესიული ტრენინგი გაიარა. 1986 -1990 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ. 1990-1992 წწ. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროში, საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. 1992-1994 წლებში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა, მოგვიანებით კი — მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროში.

1997 წელს, რამდენიმე თვე დოქტორ ზბიგნევ ბჟეზინსკის ოფისში ანალიტიკოსი გახლდათ. 1998 წელს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

1998-2000 წლებში საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი იყო. 2000 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროშია მინისტრის მოადგილე. 2003-2004 წლებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო.

2004-2010 წლებში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე იყო. 2011-2012 წლებში კი, ვიცე პრემიერის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველი. 2012 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ. 2013 წლის 1 აპრილიდან — 2014 წლის ნოემბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

*„ვერსიანიუსი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „ამ ხელისუფლების განაჩენი გამოტანილია!“




## ექსკლუზიური ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, წლებია, ქართულ პრესას უნდობლობას უცხადებს. დღეს გიგა ბოკერია „ვერსიის“ რესპონდენტია და ალასანია-მარგველაშვილთან მეგობრობაზე, ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზე“, რუსულ საფრთხეებზე, ქართულ მაიდანსა და 15 ნოემბრის აქციაზე ექსკლუზიურად საუბრობს.**

**— ექსმინისტრ ალასანიას განცხადების შეფასებით დავიწყოთ — საქართველოს საგარეო კურსს მართლა საფრთხე ემუქრება, თუ ეს ფინანსური თემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანის მცდელობა იყო?**

— ჩემთვის და საზოგადოებისთვის აქ მთავარი საკითხი ისაა, რაც ალასანიამ მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ეს მის გუნდს პირადად შეეხო: ბიძინა ივანიშვილი დავალებას აძლევს პროკურატურას მისთვის არასასურველი ადამიანის დაჭერაზე. ამჯერად, ასეთი ალასანიაა. როცა პროკურატურა ასეა მიბმული დე ფაქტო ეჭვიან ხელისუფალზე, აი, ესაა მთავარი პრობლემა. ამჯერად, მათი სამიზნე მათივე თანაგუნდელი გახდა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე, ჩემი აზრით, აბსოლუტურად უპრინციპოდ, იცავდა „ქართული ოცნების“ იმიჯს. თუმცა ბიძინა ივანიშვილი მასზე თავიდანვე ეჭვიანობდა: საკმაოდ დამამცირებელი ფორმით საჯაროდ ლანძღავდა, პოლიტიკურად თავს ესხმოდა.

**— ეს ეჭვები იმითაა განპირობებული, რომ „ოცნებას“ თქვენ და ალასანია დღემდე კარგი მეგობრები ჰგონიხართ და ამას ხშირად აძახებდნენ კიდეც?..**

— დიახ, სწორედ ეს ბრალდებაც, რაც ბოლოს ბატონი ღარიბაშვილისგან გაისმა, ამ დიდი პრობლემის ნაწილია. ეს არის შეთქმულების თეორიებისკენ მიდრეკილება და ეჭვიანობა. ალასანია მრავალი წელია, ჩვენი ოპონენტია.

**— ვიდრე ოპონენტი გახდებოდა, პარტნიორი იყო.**

— მანამდე ელჩი იყო და სხვათა შორის, მისი ელჩობის შესახებ შეფასებებიც გადაჭარბებულია. პერსონალური მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. ჩემი ახლო და პერსონალური მეგობარი, დიდი ხნის წინ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იყო. ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ბატონ ირაკლისთან არასდროს ვმეგობრობდი, თუმცა ამას დამამცირებელი ტონით არ ვამბობ.

**— აბა, საიდან ეს ჭორები?**

— აბა, რა გითხრათ, შეთქმულების თეორიის ავტორის თავში რა როგორ მოიხარშება, ამის ანალიზი არასერიოზულია.

**ირაკლი ალასანიაც ამ რეჟიმის შელამაზებით იყო დაკავებული. ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ შეხვდა ივანიშვილს და ამ ყველაფრის შემდეგ, რატომ განაცხადა, ვერ გეტყვით, რაზე ვისაუბრეთო. რაც შეეხება კურსის შეცვლის საფრთხეს — კურსს ივანიშვილი, პირველ რიგში, იმით ემუქრება, რომ ქართულ დემოკრატიას უთხრის ძირს. ამ პოლიტიკის თანამონაწილე იყო ყველა, მათ შორის ალასანიაც, ივანიშვილის მეთაურობით. მიზანი კი — საქართველოს, როგორც დაპირისპირების საგნის გაქრობაა.**



მათ საჯარო გამოსვლებს რომ გადავხედოთ, ვთქვათ, მიუნჰენის კონფერენციას, ანგელა მერკელთან შეხვედრას, „ბიბისი“-სთვის მიცემულ ინტერვიუს, განგაშის ატეხვისა და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზების ნიშანწყალიც არსად ჩანს. პირიქით, ვუშვებთ გზავნილს, რომ რუსეთთან ურთიერთობა დავალაგეთ და ოქროს შუალედი ვიპოვეთ.

**— „ოცნებას“ ასეთი არგუმენტი აქვს — როცა დიპლომატიაში წინ ვერ მიდიხარ, ურთიერთობა ადგილზე უნდა გაყინო.**

— ეს, უკეთეს შემთხვევაში, გულუბრყვილო, უარეს შემთხვევაში კი მავნებლური პოზიციაა. ბიძინა ივანიშვილის სიტყვებიც გავიხსენოთ: სომხეთი რუსეთთან და ევროპასთან ურთიერთობის ბალანსის კარგი მაგალითიაო, ასევე, ევროკავშირი და ნატო მოკლევადიანად, ჩვენი ამოცანაა, გრძელვადიანად — ვინ იცისო. მან თქვა, რომ სწავლობს ევრაზიულ კავშირს. ამ პოლიტიკაში თავის წვლილი ირაკლი ღარიბაშვილმაც შეიტანა. მან ერთ-ერთ საგარეო გამოსვლაში უკრაინას თვითკმაყოფილი ტონით მოუწოდა, რუსეთთან დიალოგის ენა იპოვეთო და ამით დაკარგა შანსი, მსოფლიოს საქართველო-უკრაინის პრობლემები ერთ კონტექსტში განეხილა. ალბათ, არ ესმით, რომ ჩვენს ნაცვლად, მსოფლიოში არავინ იბრძოლებს. პარტნიორებს ჩვენ თუ არ შევაწუხებთ, ჩვენთვის თავს არავის შეიწუხებს! გაუაზრებელი პოლიტიკის ნაწილი იყო რუსეთის ჯაშუშების ამნისტირებაც.

**— როგორც მახსოვს, ერთ-ერთი „ჯაშუში“ სოციალურად დაუცველიც კი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნაციონალებმა ფული გადაუხადეს, რათა ეთქვა, ჯაშუში ვარო.**

— ეს მითებია. ჯერ საქმეები სერიოზულად შეესწავლა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და ისე გამოეშვა ეს ხალხი. ვიცი, ამ ჯაშუშების გათავისუფლების საკითხს მუდმივად სვამდა რუსული მხარე. ამ დროს, ხელისუფლებამ ჩვენი ხალხი დაივიწყა. ისინი, ვინც რუსეთში ცრუ ჯაშუშობის ბრალდებითაა დაჭერილი — თუ რუს ჯაშუშებს უშვებდნენ, ქართველ პატიმრებში მაინც გაეცვალათ. ამის ახსნა „ოცნებისთვის“ ჯერ კიდევ მაშინ ვცადეთ, როცა უშიშროების საბჭოს მდივანი ვიყავი, სააკაშვილი კი — პრეზიდენტი. არასაჯაროდაც ვცადეთ, მაგრამ არ გამოვიდა. სწორედ ბატონი ალასანია იყო იმ ჯგუფში, რომელმაც ასეთი პოლიტიკით საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. ასე რომ, ჩვენ პარტნიორები კი არა, ოპონენტები ვართ. საერთოდ, ეს საკითხები მესამე და მეათეხარისხოვნად მიმაჩნია. თუმცა, რაკი ეს თემა გაინტერესებთ, ალასანია ჩემთვის კონკურენტია, ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის ლიდერი, რომელიც ჯერჯერობით, ივანიშვილის გავლენიდან ისევ არ გამოსულა. ჯერ მისი გუნდი კარგად უნდა ჩამოყალიბდეს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებებზე, თუმცა სხვა ნებისმიერ პარტიაზეც იგივეს თქმა შემიძლია.

**— პრეზიდენტსა და უშიშროების საბჭოზე ვისაუბროთ. თუ სწორად მესმის, საბჭო ორად გაიყო და მისი მართვის ფუნქცია პრემიერმაც აიღო. ახალ კონსტიტუციაში მსგავსი აუცილებლობის შესახებ წერია?**

— ე.წ. ორხელისუფლებიანობის პერიოდში აბსოლუტურად გაუაზრებელი თავდასხმები განხორციელდა უშიშრობის საბჭოს ინსტიტუტზე. „ოცნების“ ინიციატივით, საბჭოს სხდომა კატეგორიულად არ ტარდებოდა. მე პირადად, საბჭოს სხდომის მოწვევას, საჯარო სპეკულაციების გარეშე, დიდხანს ვცდილობდი. მაინც ატყდა ხმაური, სხდომები დაინიშნა, მაგრამ პრემიერი, სხვადასხვა მიზეზით, არც ერთ მათგანს არ დაესწრო. ამის მერე გიორგი მარგველაშვილი აირჩიეს. უფრო სწორად, იგი ივანიშვილმა შეარჩია და ხალხსაც აარჩევინა. ცოტა ხანში ივანიშვილმა მოქალაქეების არჩევანს შეურაცხყოფა მიაყენა და პრეზიდენტზე განაცხადა, ასეთი შეცდომა ცხოვრებაში არ მომსვლიაო. შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ყმების გუნდმა ახალი დავალება მიიღო და პრეზიდენტის ინსტიტუტის შევიწროებაც დაიწყო — ჩაუშალეს ვიზიტები, დაბლოკეს საგარეო ფრონტზე, მის გამოსვლას პარლამენტში მთავრობის არც ერთი წევრი არ დასწრებია, მათ შორის, არც ალასანია. „ქართულმა ოცნებამ“ პროტესტი პერსონას კი არა, მთლიანად პრეზიდენტის ინსტიტუტს გამოუცხადა.

**— ისე, ალასანიასთან მეგობრობა გბრალდებოდათ — მოხსნეს, მარგველაშვილთან მეგობრობდით, ავიწროებენ. კიდევ ვისთან მეგობრობთ კოალიციაში?**

— ბიძინა ივანიშვილია ჩემი დიდი ხნის მეგობარი... ვხუმრობ, ცხადია. ვფიქრობ, აქ საქმე პერსონებში არ უნდა იყოს.

**მე და ბატონი გიორგი დიდი ხანია აღარ ვმეგობრობთ და ამის მიზეზები ჩვენს შორის დარჩება. ეს კოალიციაში და ნინო ბურჯანაძესთან მისვლამდე ბევრად ადრე იყო.**



**— პრეზიდენტის საპასუხო ნაბიჯებს როგორ აფასებთ — ვეტოს უფლების გამოყენება უმრავლესობის წინააღმდეგ, განცხადება, რომ ქვეყანა კულუარებიდან იმართება და ა.შ.**

— იმის ნაცვლად, ამ გუნდს ქვეყანა წინ წაეყვანა, შიდაომები ჰქონდათ ერთმანეთში. ამ კონფლიქტში თავდასხმის ობიექტი სწორედ მარგველაშვილი იყო. დანარჩენს რაც შეეხება, თავს შევიკავებ პოლიტიკური მარჩიელობისგან.

**— უშიშროების საბჭოს ორად გაყოფა რა საფრთხეებს შეიცავს?**

— რიგ ქვეყნებში, უშიშროების საბჭო პრემიერის დაქვემდებარებაშია და შესაბამისად, იქ საპრეზიდენტო ინსტიტუტი არ არსებობს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში. პოლონეთში კი ჩვენი მსგავსი მოდელია, სადაც უშიშროების საბჭო პრეზიდენტს ექვემდებარება. ვერც ის გაიგო ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ უშიშროების საბჭოს პრეზიდენტისთვის დაქვემდებარება არ ნიშნავს, პრემიერმა გადაწყვეტილებები ვერ მიიღოს. უშიშროების საბჭო არის ინსტიტუტი კოორდინირებისთვის, ეს როლი კი სწორედ პრეზიდენტს აქვს. იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილმა ყოფილი ფავორიტი აითვალწუნა და ღარიბაშვილს მისი მაქსიმალურად შევიწროება დაავალა, პრემიერმა ეს ინსტიტუტიც დააკნინა და მას პარალელური სტრუქტურა შეუქმნა, უსაფრთხოების საბჭოს სახით. ეს ანტისახელმწიფოებრივი მიდგომაა!

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## პოზიცია

# მორიგი დაპირისპირება ადვოკატთა ასოციაციაში



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**8 ნოემბერს ადვოკატთა დღე აღინიშნა, პროფესიული დღე კი ზაზა ხატიაშვილსა და ადვოკატებს პარლამენტის თავმჯდომარემ და დეპუტატებმა მიულოცეს. ღონისძიებას ადვოკატი გიორგი (გოგა) ონიანიც ესწრებოდა, რამაც უფლებათდამცველთა გაერთიანების თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის აღშფოთება გამოიწვია. იგი ეხმაურება ხატიაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ ე.წ. კაბელების საქმეზე გაკეთებულ განცხადებებსაც და ტრადიციულად, მას მძიმე ბრალდებებს უყენებს.**

— ჩემთვის გაუგებარია კაბელების საქმესთან დაკავშირებით ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ზაზა ხატიაშვილის პოზიცია. მან განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებს თავდებში ჩაუდგება. ასევე, ირწმუნებოდა, მათი უდანაშაულობა იკვეთებაო, რაც ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის მხრიდან სრული ნონსენსია. არც ამ მაღალჩინოსნების დამცველია, არც ადვოკატები დაუკავებიათ, ასეთი მხარდამჭერი განცხადებები აკეთოს. აქამდე, როცა ის პოლიტიკური შეფასებებით იყო დაკავებული, თავს იმით იმართლებდა, ნებისმიერ, მათ შორის, ნაციონალ ადვოკატსაც დავიცავო. თუმცა გაუგებარია, რომელი იყო მაგ დაკავებულებიდან ადვოკატი და საერთოდ, ვინ ეკითხება ზაზა ხატიაშვილს, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებს?!

**— მოტივი რა იყო, თქვენი აზრით?**

— ადრეც მითქვამს და ვიმეორებ — ეს ადამიანი ნაციონალებთან დაკავშირებული პირია და მან ადვოკატთა ასოციაცია ზონდერებით აავსო. სამწუხაროდ, საკმაოდ რთული პროცედურაა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის იმპიჩმენტი, რადგან ამ მოთხოვნას ხელი 400-მა ადვოკატმა უნდა მოაწეროს. თუმცა საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არის და რას წარმოადგენს ზაზა ხატიაშვილი. იმ ასოციაციაში მას თავისი წრე ჰყავს და პოსტს ინარჩუნებს, მაგრამ სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოება მის მუშაობას დადებითად აფასებს. კიდევ ერთი, რასაც ხატიაშვილი აპროტესტებს ისაა, რომ თურმე, ამ მაღალჩინოსნების დაცვის უფლება დაირღვა. იგი მოითხოვს, დაუშვებელ მტკიცებულებად სცნონ ის მასალები, რასაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს. მისი თქმით, ეს მასალები პროკურატურას დაცვის მხარისთვის უნდა გადაეცა. აი, ეს ყველაზე სამარცხვინო განცხადებაა, რაც ხატიაშვილს ოდესმე გაუკეთებია. ვურჩევ, ჯერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წაიკითხოს და ამის მერე გამოვიდეს საჯაროდ. მან თავი პირდაპირ ეთერში მოიჭრა და საზოგადოებას დაანახა, რომ საპროცესო კანონმდებლობას არ იცნობს. კოდექსის 143-ე მუხლში, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებას ეხება, წერია, რომ 1. ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს). 2. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაცვის მხარეს მიეწოდება ამ კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. 3. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. არადა, ჯერ გამოძიება უნდა დასრულდეს და ამის მერე გაიმართოს წინასასამართლო სხდომა. ხატიაშვილი კი ღია ეთერში კოდექსს აფრიალებდა და სისულელეს ამბობდა. შესაძლოა, მან საზოგადოება შეცდომაში მიზანმიმართულად შეიყვანა. ეს ცვლილებები მოსმენებთან დაკავშირებით, კანონში აგვისტოში შევიდა და ეს ამბავი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს უნდა სცოდნოდა.

**— მას კიდევ ერთ ბრალდებას უყენებთ — ასოციაცია „ზონდერებით“ აავსოო. დააკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?**

— თუნდაც გოგა ონიანსა და რომეო საჯაიას, რომლებიც ასევე პირდაპირ ეთერში აყენებდნენ ოპონენტებს შეურაცხყოფას. ადვოკატთა ეთიკის კომისიას კი ამ ადამიანების ქმედებებზე უნდა ემსჯელა! ონიანმა შეურაცხყოფას აყენებდა ირმა ინაშვილს და ა.შ. ხატიაშვილი ასეთი ადამიანებითაა გარშემორტყმული და მეტსაც გეტყვით, ამბობს, გოგა ონიანი ჩემს თვალში გმირიაო. ჰოდა, ჰყავდეს ასეთი გმირები!

**— ხატიაშვილის თქმით, მან ონიანი ასოციაციაში მხოლოდ მას მერე გააწევრიანა, რაც ეს უფლება სასამართლოს ძალით მოიპოვა. ისიც ითქვა, რომ ევროპის ასოციაციის იურიდიული საბჭოს პრეზიდენტმა ონიანზე ძალადობის შეწყვეტის მოთხოვნით, საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართა. მართლაც, ადვოკატი ნაციონალია თუ არა, მასზე ძალადობა გამართლებული ხომ არაა?**

— თუკი ევროპის ადვოკატთა ასოციაცია ამ განცხადებებს აკეთებს, ე.ი. ის იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რასაც ზაზა ხატიაშვილი აწვდის. ის კი დღე და ღამე აგზავნის ინფორმაციებს, რომ ნაციონალების უფლებები ირღვევა. ახლახან, ხატიაშვილი პოლონეთშიც იყო, სადაც განცხადა, რომ საქართველოში დიქტატურული რეჟიმია. მოკლედ, ეს ადამიანი მხოლოდ იმას ამბობს და აკეთებს, რაც ხელს ნაციონალებს აძლევს. მან მეც დამდო ბრალი და მითხრა, ხელისუფლებისგან მართული ხარო. ამჟამად მიდის პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ, ხატიაშვილმა კი სხდომაზე უარყო, ასეთი განცხადება არ გამიკეთებიაო. როცა ადვოკატების შეურაცხყოფაზე საუბრობს, ვინც გულზე არ ეხატება, იმას თავად აყენებს შეურაცხყოფას. თუმცა რეალურად, რა ხდება ადვოკატთა ასოციაციაში, ყველამ კარგად იცის. ალასანიას და მას გაყოლილი მინისტრების ალიანსი ნაციონალურ მოძრაობასთან უკვე ზედაპირზე დევს. ამ სიტუაციაში, ხატიაშვილი ერთ-ერთი წვრილი სიმია, რომელსაც, როცა უნდა ჩამოჰკრავენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ვინ ეკითხება ხატიაშვილს ვინმეს თავდებში ჩადგომას?! ფაქტია, ქვეყანაში, მასობრივი შეტევა დაიწყო, რათა ხელისუფლების გადატრიალება მოხდეს.

**— ამ განცხადებებს რის საფუძველზე აკეთებთ?**

— ეს უკვე გააჟღერა ექსმინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, რომელმაც თქვა, რომ ამ მოვლენების გამო პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი უნდა გადამდგარიყო. ადვოკატთა ასოციაცია პოლიტიზებული არ უნდა იყოს — ესაა ჩვენი მიზანი. მეც ამ ასოციაციის წევრი ვარ და მისი თავმჯდომარე მსგავს განცხადებებს რომ აკეთებს, პირველ რიგში, ადვოკატთა ასოციაციას აყენებს შეურაცხყოფას. ყველას მოვუწოდებ, სამართლებრივი საკითხების განმარტებასთან დაკავშირებით ზაზა ხატიაშვილს ნუ მიმართავენ, რადგან ამ საქმეში არაკომპეტენტურია!

## ოპოზიცია

# „ამ ხელისუფლების განაჩენი გამოტანილია!“

*მე-3 გვერდიდან*

თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ ორ სტრუქტურას შორის რეალური კოორდინირება არ იქნება, უკვე საფრთხისშემცველია. როცა რუსეთისგან აგრესიის ახალი ტალღა მოდის, აფხაზეთის ფორმალური ანექსია იწყება და ჩრდილოელი მეზობლის მიზეზით, რეგიონშიც უამრავი პრობლემაა, საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში სხვა თემები დგას: ან ოპონენტების, ან ერთმანეთის შევიწროება და მერე ამაზე, ქვეყანაში თუ მის გარეთ, შავი პიარის აგორება! ამ დროს, საქართველო ნარკომანივით დამოკიდებული ხდება რუსულ ექსპორტზე. ეს კი ის ნარკოტიკია, რაც ერთხელ უკვე დავამარცხეთ. ხელისუფლების პასუხისმგებლობა სწორედ ისაა, გათვალოს საფრთხე, რომ ეს ექსპორტი, ნებისმიერ დროს, შეიძლება ჩვენზე ზემოქმედების ბერკეტად გამოიყენონ.

**— კი მაგრამ ახლა, რუსულ ბაზარზე ჩვენი პროდუქციის ის რაოდენობა არ გადის, რომ ამ ბაზრის ჩაკეტვა ზემოქმედების ბერკეტად მივიჩნიოთ.**

— როცა სათავეში ასეთი სუსტი გუნდია, მაშინ ეს ნამდვილად შეიძლება იყოს ბერკეტი ზემოქმედებისთვის. არსებობს მოლდოვას მაგალითი, რომელსაც ბაზარი ხან გაუხსნეს, ხან ჩაუკეტეს, ხელისუფლება კი იგივე მახეში ფეხს ხელახლა დგამს.

> **ამ ხელისუფლების განაჩენი გამოტანილია — ხალხმა რაც შეიძლება მალე, დემოკრატიული არჩევნების გზით ამ ძალას უნდა უთხრას ნახვამდის! ჩვენ კი არათუ პარლამენტში ხელახლა შესვლას, არამედ „ქართული ოცნების“ დამარცხებას ვაპირებთ. თუმცა იმის ილუზია არც ჩვენ და არც არავის უნდა ჰქონდეს, რომ რომელიმე ძალა იმხელა მანდატს მიიღებს, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო 2003 წელს. საქართველოში ისე აღარასდროს მოხდება, ხელისუფლებაში ამხელა წილი მარტო ერთმა გუნდმა მიიღოს.**

**— ნაციონალური მოძრაობა დღეს რეალურ საფრთხედაა წარმოჩენილი: მაიდანი, აქციები, დაანონსებული რევოლუცია... არ ფიქრობთ, ამ ისტერიკული ფონის შექმნის საბაბს ხშირად თავად იძლევდით?**

— ეს ფონიც საკმაოდ დამთრგუნველია. მსგავსი მითები კი ისეთი დიქტატორული რეჟიმისთვის, როგორიც ივანიშვილმა შექმნა, ტიპურია. უკვე 2 წელია გვესმის, რომ არსებობს საფრთხე ნაციონალების მხრიდან და ეს საფრთხე უნდა განეიტრალდეს. ჩვენ არანაირ ფონს არ ვქმნით ჩვენი განცხადებებით. პირიქით, ეს მათი განცხადებებია ძალადობის წამახალისებელი და აგრესიული. დამადლებითა და ნიშნისმოგებით არ ვამბობ, მაგრამ 2 წლის წინ ხელისუფლება მშვიდობიანად გადავეცით ყველაზე მწვავე ოპონენტს, ბიძინა ივანიშვილს. ჩვენი მოწოდებები და რიტორიკა კი არც მაშინ და არც ამ ორი წლის განმავლობაში კონსტიტუციის ფარგლებსგარეთ არასოდეს გასულა.

**— ეს ბუმერანგის პრინციპია — ზუსტად ასე ქმნიდით მტრის ხატს თქვენი ყველა ოპონენტისგან და მათ რუსეთუმეებს უწოდებდით.**

— ვერ დაგეთანხმებით. რუსეთი „ბუა“ მე კი არ მგონია, რეალური საფრთხეა.

**— „ზილების რევოლუცია“ და ბურჯანაძის აქციებიც რეალური საფრთხე იყო?**

— ქალბატონი ბურჯანაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ღიად, ყოველგვარი შეთქმულების თეორიების გარეშე, ამ თემას ტაბუ ახსნა, პუტინს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე კრიზისულ მომენტში, 2009 წელს ეახლა და პოსტსამხედრო აგრესიის კამპანია დაიწყო.

**— თქვენ რუსეთუმეს ერთნაირად უწოდებდით ბურჯანაძეს, სახალხო კრების წევრებს, კობა დავითაშვილს, კახა კუკავას, ზვიად ძიძიგურს და სხვებს. თუმცა ალასანია ლავროვს ისე შეხვდა, მისკენ თითი არ გაგიშვერიათ. რატომ?**

— სწორედ დეტალებშია ეშმაკი... ქალბატონი ბურჯანაძისგან მკაფიო გზავნილებს ვიღებდით: საქართველო ნატო-სა და ევროკავშირისკენ ვერ წავა და არსებულ რეალობას უნდა შეეგუოსო. გარდა ამისა, წლები, მთელი ოპოზიციური სპექტრი გაიძახოდა, ხელისუფლება დავამთავროთო, თუმცა ჩვენ ლიდერები არასოდეს დაგვიპატიმრებია. ჩვენმა ხელისუფლებამ დიდი გარდაქმნები დაიწყო, გვქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ჩავარდნაც, მაგრამ ამასაც თავის მიზეზები აქვს.

**— რა იყო ეს ჩავარდნები, რას მიიჩნევთ თქვენს შეცდომებად?**

> **— ჩვენ ზედმეტად ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება გვყავდა, როგორიც, რაღაც ეტაპზე, დიდი რეფორმების გასატარებლად, საჭიროა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ძალის დაბალანსება ვერ შევძელით. ჩვენ არ გვქონდა კონტროლის საკმარისი მექანიზმები, ხელისუფლების შიგნით არ მიდიოდა საკმარისი დისკუსია, რამაც სხვადასხვა სფეროებში პრობლემები შექმნა. დიდ მანდატს დიდი ძალაუფლებაც მოაქვს ხოლმე, რაც, რაღაც მომენტში, უკონტროლო გახდა და დიახ, ეს ჩვენი შეცდომაა.**

**— ქვეყნის პოლიტიკას ბოლო წლებში ძალოვანი სტრუქტურები რომ მართავდნენ და პატრული „მიშას“ გაიძახოდა, ეს შეცდომა არ იყო?**

— ეფექტური და რეალური ძალოვანი სტრუქტურები საერთოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. იქამდე ანგარიშვალდებული ძალოვანი სისტემა საერთოდ არ არსებობდა. თუმცა ამ ძალოვანი სისტემის ინსტიტუციური შემაკავებელი, საპირწონე არ არსებობდა და სწორედ ამის ბრალი იყო ისიც, რომ პატრული კონკრეტულ სახელს ყვიროდა. საუბარია 6 მაისის აქციაზე, როცა შსს-ს შენობაში „უცნობი“ შეიჭრა, თუმცა მაშინ იგი საერთოდ დასაჭერი იყო, ამის პარალელურად, როცა პირდაპირ გრუ-ს სპეცნაზის შემოყვანაზე ქალბატონი ბურჯანაძე საუბრობდა, არც ის ჩამჯდარა ციხეში.

**— სამაგიეროდ, იჭერდით და არბევდით უდანაშაულო ბავშვებს, რომელთაც ხელში დროშის ტარები გაუაზრებლად დააჭერინეს. თუ ნინო ბურჯანაძეს საქართველოში გრუ მართლა შემოჰყავდა, რატომ პირდაპირ არ დაიჭირეთ?**

— ძალიან დიდი რისკია, როცა ხელისუფლება წითელ ხაზს გადადის და ციხეში პოლიტიკურ ლიდერებს სვამს. ეს წითელი ხაზი ჩვენი ხელისუფლების დროს არსებობდა. ეს შეიძლება საკამათო მიდგომა იყოს, მაგრამ ახალგაზრდა დემოკრატიისთვის სწორია. „ქართულმა ოცნებამ“ კი ეს ხაზი წაშალა, თანაც ლეგიტიმური მიზეზების გარეშე.

**— რას აპირებთ 15 ნოემბერს და შეიძლება თუ არა ეს დღე დაჭერების ლეგიტიმურ მიზეზად იქცეს?**

— 15 ნოემბერს იქნება ერთდღიანი, მშვიდობიანი აქცია, ძალიან მკაცრი გზავნილით რუსეთისა და ივანიშვილის გუნდის წინააღმდეგ, რადგან ეს ორი, სამწუხაროდ, ურთიერთკავშირშია. ჩვენი მიზანია ხმა, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობას მივაწვდინოთ და ვუთხრათ, რომ საქართველოს ანექსიას არასდროს შევეგუებით და მეორე მხრივ, გავაფრთხილოთ ივანიშვილის უმაქნისი და მავნებელი გუნდი, რომელიც თავისი მოქმედებებით ამ საფრთხეების გაძლიერებას უწყობს ხელს!

**— აბა, რა ბორბლების შეგროვებასა და ქართულ მაიდანზეა საუბარი. ვის დავუჯეროთ, თქვენ თუ ხელისუფლებას, რომელიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს?**

— ეს აბსურდია, მაგრამ ფსიქოლოგიური ახსნა მაინც აქვს — ე.ი. ხელისუფლებაში გვყავს გუნდი, რომელიც საკუთარ თავს იანუკოვიჩის რეჟიმთან აიგივებს და არა მაიდანთან. ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯები იანუკოვიჩის ნაბიჯებს ემსგავსება. ჩვენი ამოცანა კი სწორედ ისაა, ქვეყანაში მაიდნის მსგავსი მოვლენები არ განვითარდეს. თუმცა უკრაინაში პროცესები კონსტიტუციისმიღმა სწორედ ხელისუფლებამ გაიყვანა — იანუკოვიჩმა უკრაინის სუვერენიტეტს უღალატა და შემდეგ ხალხი დახოცა.

**— მერე, რა საერთოს ხედავთ ჩვენს ხელისუფლებასთან?**

— აქ საუბარია საფრთხეზე, რაც ამ ცუდი პროცესის დასაწყისს ჰგავს და რასაც დღეს ოპონენტების დევნის, გაუგებარი საგარეო განცხადებების ფორმა აქვს. ქვეყნის პროდასავლური პოლიტიკური ნაწილის ამოცანა კი ისაა, საქმე აქამდე არ მივიდეს. თუ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის სუვერენიტეტს ღიად უღალატებს და იმას გააკეთებს, რაც იანუკოვიჩმა გააკეთა, ანუ ვთქვათ, ევრაზიის კავშირში შევა, მაშინ დაივიწყეთ ოპოზიციაცა და პარტიული სტრუქტურებიც — უკან საქართველოს მოსახლეობა არ დაიხევს!

რუსუდან შელია
557-100-768

# ზაქარია ქუცნაშვილი: „პარლამენტში ახალი „ქრისტიან-დემოკრატების“ შექმნა ჩვენი მიზანი არ ყოფილა“



**საპარლამენტო უმრავლესობა უმრავლესობის დაკარგვას უპარტიო, დამოუკიდებელი დეპუტატების და „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ ფრაქციების დამსახურებით გადაურჩა. რა ახალი რეალობა იქმნება პარლამენტში და რამდენად შეძლებს „ქართული ოცნება“ დებატებში ორ ოპოზიციურ ძალასთან „გამკლავებას“? „ვერსიასთან“ მიმდინარე პროცესებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ზაქარია ქუცნაშვილი აფასებს.**

— კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის მიუხედავად, საპარლამენტო ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. დამოუკიდებელი მაჟორიტარების შემოერთების შემდეგ, საკმარისზე მეტი ხმა გვაქვს, რომ კანონები მივიღოთ და აუცილებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის ვეტოც დავძლიოთ. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა ამოწურულია.

— **რატომ გამორიცხავთ, რომ რესპუბლიკელები პრობლემას არ შეგიქმნიან? ისინი ღიად უჭერენ მხარს „თავისუფალ დემოკრატებს“ და კომიტეტის თავმჯდომარის პოსტებიდან მათ გათავისუფლებას ეწინააღმდეგებიან.**

— მომავალში რა იქნება, ღმერთმა იცის. ახლა არასერიოზულია წინასწარ საუბარი, თუმცა არ ვფიქრობ, რომ რესპუბლიკური პარტია კოალიციისთვის ხელშემშლელი ძალაა, ისინი ჩვენი პარტნიორები არიან და ყველა პრინციპულ საკითხში მხარს გვიჭერენ. შესაძლოა, გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, მაგრამ კოალიციური თანამშრომლობა მის წევრებს შორის მუდმივი დიალოგის რეჟიმში მუშაობას გულისხმობს. რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ პოსტებიდან გათავისუფლებას, ეს საკითხი პარლამენტში, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ დგას. შესაბამისად, რესპუბლიკელებს ამ საკითხზე რადიკალური პოზიციის დაფიქსირება არ მოუწევთ.

— **და დამოუკიდებელი მაჟორიტარები, რომლებიც, ტრადიციულად, პოზიციებს პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით იცვლიან, რამდენად სანდო პოლიტიკური პარტნიორები არიან?**

— პარტნიორების საიმედოობას მხოლოდ ცხოვრება განსაზღვრავს! ამიტომ მომავალი გვიჩვენებს, ვინ ერთგული და ვინ მოღალატე პოლიტიკური პარნტიორია. სხვათა შორის, დამოუკიდებელი მაჟორიტარები ორი წელია ჩვენთან

თანამშრომლობენ და პრინციპულ საკითხებზე ჩვენ პოზიციას იზიარებენ. მათგან მხარდაჭერაც არაერთხელ გვიგრძნია.

— **სამაგიეროდ, ახლა პარლამენტში ორ ოპოზიციურ ძალასთან გამკლავება მოგიწევთ. რას შეცვლის ეს საკანონმდებლო რეალობაში?**

— ის ფაქტი, რომ პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია გაჩნდა, თავისთავად, საინტერესო და დინამიურ პროცესს ქმნის. თანაც „თავისუფალი დემოკრატები“ ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ცხრაწლიანი უარყოფითი წარსულით, 7 ნოემბრისა თუ 26 მაისის ტრაგიკული მოვლენებით დამძიმებულნი არ არიან. ასე რომ, მათთან ოპონირება ბევრად საინტერესო და საქმიანი იქნება. თუმცა ვნახოთ, რამდენად შეძლებს ეს პარტია კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშის დაჭერას. თუ ეს მოხერხდა, საპარლამენტო ცხოვრება ბევრად საინტერესო გახდება. კონკურენცია ნაციონალურ მოძრობას ნაკლებად აწყობს. ისინი ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც უკონკურენტო გარემოში ცხოვრებას შეეჩვივნენ. თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე მაქსიმალურად შეეცადა, მესამე პოლიტიკური ცენტრი შეექმნა, გარკვეულწილად, ეს შეძლო კიდეც, მაგრამ ორი არჩევნების შედეგების მიხედვით, მეორე პოლიტიკურ ძალად დაფიქსირება ვერ მოახერხა და მესამე ცენტრად დარჩა.

— **თქვენი განცხადებებით ამძაფრებთ ეჭვს, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ნაციონალური მოძრაობის ჩამნაცვლებელ ძალად ხელოვნურად შეიქმნა. ასეა?**

— აბსურდულია! „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციას ბუნებრივად გამოეყვნენ. ჩვენი მიზანი პარლამენტში ხელოვნურად „ქრისტიან-დემოკრატების“ შექმნა არ ყოფილა. ამას არც ჩვენ ვიკადრებთ და არც „თავისუფალი დემოკრატები“. ვვარაუდობ, ამ პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ნაციონალური მოძრაობის აქტუალობა საზოგადოებაში უფრო დაიკლებს. ეს თავად ნაციონალებმაც გააცნობიერეს

— თუ თავდაპირველად ირაკლი ალასანიას სოლიდარობას უცხადებდნენ, საგარეო კურსის ცვლილებაზეც შეშფოთებით საუბრობდნენ, ბოლო დღეებია თავდაცვის ყოფილ მინისტრსა და მის გადაწყვეტილებაზე ზომიერ შეფასებებს აკეთებენ.

— **რატომ გამორიცხავთ, რომ ირაკლი ალასანია ნაციონალურ მოძრაობას პრობლემებს კი არ შეუქმნის, მასთან გაერთიანდება და ყოფილ სახელისუფლო გუნდს გააძლიერებს?**

— როგორც ვიცი, ნაციონალებთან პოლიტიკური თანამშრომლობა თავად თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა უარყო, თუმცა, როგორც გითხარით, რა იქნება მომავალში, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

— **იმასაც შეგახსენებთ, რომ ირაკლი ალასანიას ნაციონალური მოძრაობის ლობირება დაბრალდა.**

— არ ვიცი... ფაქტია, ნაციონალები აცნობიერებენ, რომ საპარლამენტო ოპონირებაზე მონოპოლიას კარგავენ. იმის გამო, რომ პარლამენტში სხვა ოპოზიციური ძალა არ არსებობდა, უმრავლესობის წინააღმდეგ ამ მონოპოლისტურ მდგომარეობას მაქსიმალურად იყენებდნენ. ახლა დაირღვა მათი მონოპოლია და პარლამენტში ოპოზიციურ ფლანგზე კონკურენცია გაჩნდა. ახლა ამომრჩეველი დასვამს კითხვას — „თავისუფალი დემოკრატები“ მორალურად გაჯერებული

პარტიაა თუ მორალისგან დაცლილია, კონსტრუქციულია თუ დესტრუქციული და არჩევანსაც პასუხების შესაბამისად გააკეთებს. ბუნებრივია, ირაკლი ალასანიას მოუწევს მტკიცება, რომ რეალური ოპოზიციაა. შესაბამისად, მუდმივად შეეცდება, ხელისუფლებისგან განსხვავებული პოლიტიკური პოზიცია დააფიქსიროს. როცა ოპოზიციაში ხარ, პოლიტიკაში ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა, მით უმეტეს, თანამდებობის გარეშე დარჩენილი პოლიტიკოსები ამ მხრივ ბევრად აქტიურები იქნებიან, ისინი, ვინც თანამდებობა შეინარჩუნა. ამიტომაც ვამბობ, საპარლამენტო ცხოვრება ბევრად დინამიური გახდება.

— **რამდენიმე დღეში პარლამენტს პრეზიდენტთან ერთად იმის მტკიცებაც მოუწევს, რომ ქვეყანაში საგარეო კურსი არ იცვლება. ემზადებით პრეზიდენტის კითხვებზე პასუხის გასაცემად?**

— ქვეყნის საგარეო კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, ეს საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებულია და არჩევნებამდეც კოალიციის ძირითად ღირებულებად დასახელდა და ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, თავისუფალმა დემოკრატებმა კითხვისნიშნები თავადვე მოხსნეს, ამიტომ პარლამენტში პრეზიდენტის მოსვლის საფუძველიც, ალბათ, დაიკარგა.



# „მოსახლეობას ზამთრის არ უნდა ეშინოდეს“

## რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და როგორ ხვდება მთავრობა ზამთარს



გიორგი იაშვილი

**ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით, სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი — რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ენერგოსისტემაში და რამდენად მომზადებულები ვხვდებით ზამთარს. ამ თემაზე ექსპერტი ენერგეტიკულ საკითხებში, ანზორ სიჭინავა გვესაუბრა.**

— **ბატონო ანზორ, ზამთარს მომზადებულენი ვხვდებით?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ წყალსაცავებში წყლის დონე დამაკმაყოფილებელია. 1 ნოემბერი არის საზომი, თუ როგორ გადავიტანთ ზამთარს და რა მდგომარეობაშია საცავებში წყლის მარაგი. მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი მდგომარეობით შეშფოთების საფუძველი არ გვაქვს. ამას გარდა, პრობლემა არ შეიქმნება ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ბუნებრივი პირობების გამო, რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა. სისტემა მზადყოფნაშია და როგორც ელექტროენერგიის, ისე გაზის მხრივ, მდგომარეობა სტაბილურია.

— **ყოველი ზამთრის წინ ანალოგიური დაპირებები გვესმის, მაგრამ რეალურად სხვა სურათს ვიღებთ ხოლმე.**

— გასაგებია მოსახლეობის უნდობლობა და მე თუ მკითხავთ, ყველაზე მტკივნეული საკითხი ე.წ. წყალმოვარდნებია, რომელსაც ადგილი გაზაფხულსა და შემოდგომაზე აქვს. ჩვენ ამის პრევენციაზე ნამდვილად ვზრუნავთ, მაგრამ სასურველია, ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს და შეიქმნას ე.წ. მარაგები წყალსაცავებში.

— **ხომ არ შეგვექმნება პრობლემა მეზობლებთან, ანუ იმ კომპანიებთან, რომლებიც ენერგომატარებლები არიან?**

— თუ ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო არ იქნება პრობლემა, სხვა პრობლემას ვერ ვხედავთ. მზად ვართ, ერთი ენერგომატარებლის დაზიანების შემთხვევაში მეორეთი ჩანაცვლება მოხდეს. ისე, არის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა — არავინ ითვლის, რა ზარალი ადგება მათ, ვისაც უზრუნველვყოფთ ენერგორესურსებით. სხვა ქვეყნებში ამას მარეგულირებელი კომისია აგვარებს და კონკრეტულად წერია, ვის რა ერგება. ჩვენთან ასე არ ხდება. არადა, ეს მნიშვნელოვანი საკითხია.

— **მოკლედ, ამ ზამთარს მოსახლეობას ნამდვილად არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს?**

— თუ რამე სასწაული არ მოხდა, დღეის მდგომარეობით, ყველაფერი რიგზეა.

— **ანუ მითი, თითქოს სამინისტროს გამოუცდელი მინისტრი ხელმძღვანელობს, დაიმსხვრა?**

— იცით, რა ხდება? ენერგეტიკა ცოცხალი ორგანიზმია, მას წიგნებში წაკითხული თეორიებით ვერ მართავ და გადაწყვეტილება კონკრეტულ მომენტსა და ვითარებაში უნდა მიიღო. კახა კალაძემ კარგი გუნდი შემოიკრიბა, ენერგეტიკაში გამობრძმედილი ხალხი და არ იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, უსმენს მათ, ენდობა მათ გამოცდილებას. ენერგეტიკაში რამე რომ დაშავდეს, პასუხს კი მოსთხოვენ კალაძეს, მაგრამ რეალურად, პასუხისმგებლობა გუნდმა უნდა აიღოს, რადგან გუნდური მუშაობის პრინციპი წინა პლანზეა და ამას მინისტრი ხელს უწყობს. იგი ძალიან კარგი მენეჯერია და ვერავინ იტყვის, რომ ცუდად მუშაობს.

**„წყალსაცავებში წყლის დონე დამაკმაყოფილებელია... პრობლემა არ შეიქმნება ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ბუნებრივი პირობების გამო, რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა. სისტემა მზადყოფნაშია და როგორც ელექტროენერგიის, ისე გაზის მხრივ, მდგომარეობა სტაბილურია“**

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# როგორ მოხვდა არჩილ გეგენავას კომპანია თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერში?




**„პირველი საქმე, რაც პროკურატურამ დადო: თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მაგისტრალის გაყვანაზე. გებადება კითხვა, რად უნდა თავდაცვის სამინისტროს მაგისტრალის გაყვანა? არადა, 80% ერთ-ერთ პროვაიდერს უკვე გაყვანილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ცხადდება ტენდერი, იმარჯვებს „სილქნეტი“. 5 000 000 ლარი სარეზერვო ფონდიდან, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა მიღებული, მთლიანად ირიცხება „სილქნეტში“. რა აუცილებლობა იყო ამაში? რატომ იჩქარა თავდაცვის სამინისტრომ, როცა ტყვია-წამლის ფული არ აქვს, რაში დასჭირდა ამხელა ავანსის გადარიცხვა? მეორე საქმე: ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს, სოზარ სუბარმა და ირაკლი ღარიბაშვილმა გადაალაგეს მთელი კვების სისტემა და საუკეთესო კვება შესთავაზეს თავის სამინისტროებს იმის ფარგლებში, რა ბიუჯეტიც ჰქონდათ. ალასანიამ კი ოთხივე ტენდერი ჩაშალა, მქონდა მცდელობა, გადამერწმუნებინა, რამდენჯერმე ვთხოვე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მან ტენდერის გარეშე, პირდაპირ ჩააბარა მომარაგება ერთ კომპანიას, მიუხედავად მოწამვლის ფაქტებისა. დღესაც არ არის ეს კომპანია გაყვანილი სამინისტროდან. რატომ უნდა მონაწილეობდეს გეგენავასა და ნაცების კომპანია ჯარისკაცების კვებაში?“, — ეს არის მცირე ამონარიდი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან.**

რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის განცხადება, ან რა დროს არჩილ გეგენავაა? ზოგადად, ბიზნესის პოლიტიკური ნიშნით დაყოფა ავტორიტარულ და დიქტატორულ რეჟიმებს ახასიათებს, რადგან, როგორც წესი, სატენდერო პირობებში მითითებული არ არის, რა პოლიტიკური ორიენტაცია აქვს ამა თუ იმ კომპანიის დამფუძნებელს და გენერალურ დირექტორს. შესაბამისად, ნაცების კომპანია არც ისე დემოკრატიულად ჟღერს და ამ კონტექსტში, არც გეგენავას კუთვნილი კომპანიების ტენდერში მონაწილეობა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ეს ის არჩილ გეგენავაა, რომელიც 2011 წლის მაისიდან მოყოლებული, მთელი ზაფხულის განმავლობაში, თავად ნაციონალურმა ელიტამ ჩახსნა კვების ტენდერებიდან!

2011 წლის სექტემბერში, „ვერსიამ“ 4 ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა, რომლებიც თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროებში გამოცხადებულ და მერე ჩაშლილ კვების ტენდერებს ეხებოდა. 2011 წლის სექტემბერში, პოლიტიკურ ჰორიზონტზე ბიძინა ივანიშვილის კონტურებიც კი არ ჩანდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ნაციონალურ მოძრაობაში გარკვეული გადაჯგუფება და ბიზნესწილების გადანაწილება დაიწყო. ეს პროცესი 2011 წლის მაისში, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა წამოიწყო, როდესაც მის უწყებაში გამოცხადებული კვების ტენდერი ჩაშალა და ნაციონალური მოძრაობის ფავორიტი ბიზნესმენი დეპუტატი არჩილ გეგენავა ტენდერიდან ჩახსნა. „დომინოს პრინციპით“, იგივე პროცესი გაგრძელდა თავდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებშიც. მოკლედ, 2011 ზაფხულში, სამივე სამინისტროში გამოცხადებული 17 ტენდერი ჩაიშალა.

ერთ-ერთი ვერსიით, ნაციონალურმა ელიტამ არჩილ გეგენავა მას შემდეგ „გაწირა“, რაც 2011 წელის წლის ივლისის ბოლოს, გიგა ბოკერიას მიერ, პარლამენტში ინიცირებულ „რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონზე“ ხელი არ მოაწერა. გეგენავას პრობლემები მეორე დღიდანვე შეექმნა, რადგან გიგა ბოკერიას მითითებით, სახელმწიფო ტენდერები ერთმანეთის მიყოლებით დაათმობინეს. თუმცა ბოკერიამდე, არჩილ გეგენავას „წითელი“ ვანო მერაბიშვილმა აუნთო. ხელშეკრულების ასლი, რომელსაც ხელს მერაბიშვილი აწერს და რომლითაც არჩილ გეგენავას კომპანიები შსს-ს მიერ გამოცხადებული ტენდერებიდან ამოვარდა, თბილისის საკრებულოს მაშინდელ წევრს, თინა ხიდაშელს ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნეს. სხვათა შორის, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ ოთხივე გამოძიებაში, თინა ხიდაშელი ჩვენი ძირითადი რესპონდენტი იყო, რომელიც ამ ტენდერებთან დაკავშირებით, ექსკლუზიურ ინფორმაციებსაც გვაწვდიდა.

ეჭვგარეშეა, შს მინისტრის ხელმოწერილი დოკუმენტი იმაზე გაცილებით მეტს ნიშნავდა შინაარსით, ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, ანუ ტენდერის ჩაშლით ჩანდა. მერაბიშვილის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც გეგენავას ტენდერებში მონაწილეობა აუკრძალეს, სისხლის სამართლის დანაშაულის კვალს ტოვებდა. ამიტომ გამორიცხული არ იყო, ხელისუფლების ფავორიტ ბიზნესმენს სწორედ სისხლის სამართლებრივი დანაშაული აღმოუჩინეს, რის გამოც მისთვის სახელმწიფო ტენდერების ფართოდ გახსნილი კარი დაიხურა. „ვერსიამ“, სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, შეიტყო, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ვანო მერაბიშვილმა არჩილ გეგენავას კომპანიები შსს-ს ტენდერებს ჩამოაშორა, მართლაც კრიმინალურ შინაარსს ატარებდა. წყარომ გვიამბო, რომ ვანო მერაბიშვილმა არჩილ გეგენავას სერიოზული ფაქტები დაუდო, რადგან გეგენავა გარკვეულ თანხას გზავნიდა რუსეთში მოღვაწე კრიმინალურ ავტორიტეტთან. ეს უკანასკნელი გეგენავას ძველი მეგობარი იყო, ორივე ყოფილი „მხედრიონელი“ და ე.წ. მთაწმინდის საძმოს წევრი იყო.

ერთ-ერთი ვერსიით, რის გამოც ნაციონალურმა მოძრაობამ გეგენავა „მოიძულა“, ციხეში, პატიმრების ხარჯზე „მოტეხილი“ საკმაოდ სოლიდური შემოსავლები იყო. წლების განმავლობაში, ჯარს, პოლიციასა და პატიმრებს არჩილ გეგენავას კომპანიები კვებავდნენ. სამწუხაროდ, პატიმრები კვების პროდუქტში იმაზე გაცილებით მეტს იხდიდნენ, ვიდრე ამ პროდუქტების რეალური ფასი იყო. მაგალითად, კვერცხს, რომელიც მაღაზიებში 20-22 თეთრი ღირდა (ფასები 2011 წლის სექტემბრის ადეკვატურია, — ავტ.), პატიმრები 30 თეთრად ყიდულობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ფასში ასეთი განსხვავება „პოპულის“ კუთვნილი წილი ყოფილიყო, რადგან პატიმრები სწორედ „პოპულის“ ელექტრონული ბარათებით სარგებლობდნენ. ფასში ასეთი „განსხვავება“ რამდენიმე მილიონი ლარის ექვივალენტი იყო და შესაბამისად, გეგენავას კვების ტენდერებიდან ამოვარდნის ერთ-ერთ რეალურ მიზეზად ესეც შეიძლება ჩავთვალოთ.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენეთ, რომ კარგი იქნება, თუკი პოლიტიკოსები გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს, განსაკუთრებით ჟურნალისტურ გამოძიებას მეტი ყურადღებით გაეცნობიან და იქ მოყვანილ ფაქტებსაც სათანადოდ შეისწავლიან. ისევ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს დავუბრუნდეთ, ბატონებო, საშინელება და ქვეყნის უბედურება ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ ტენდერში „ნაცების“ ან „ქოცების“ კომპანიები მონაწილეობენ. უბედურება ის არის, რომ ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს, კვების ტენდერების იმპერატორად წოდებული, არჩილ გეგენავას კუთვნილი კომპანია ისევ მონოპოლისტია და ისევ თავდაცვის სამინისტროში! განსხვავება ის არის, რომ 2011 წელს, თვითონ ნაციონალებიც კი მიხვდნენ და არჩილ გეგენავას ზღვარგასულ მონოპოლიურ მდგომარეობას წერტილი დაუსვეს.

ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც „ვერსიაში“ ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნდებოდა კვების ტენდერებთან დაკავშირებული გამოძიებები, არჩილ გეგენავამ პარლამენტის სხდომათა დარბაზის წინ, ლამის „ქუჩური განხილვა“ მოგვიწყო და „ვერსია“ სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა. აშკარად ტყუოდა, რადგან ყველაფერი, რასაც მაშინ ვწერდით, გეგენავასთან იყო გადამოწმებული. ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა, არც შეხვედრა ისურვა, სამაგიეროდ, კითხვები გადაგვაგზავნინა და ზუსტად იცოდა ყველა ის ექსკლუზიური თუ სავარაუდო ვერსია, რაც ტენდერებიდან მისი კომპანიების ჩახსნას უკავშირდებოდა. ბოლოს, თავისივე პრესცენტრის სამსახურის უფროსის საშუალებით შემოგვითვალა, დაწერეთ, რომ არჩილ გეგენავას დავუკავშირდით, მაგრამ ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებსო... იმ დღეს, ჩემს წინაშე დეპუტატი ან ბიზნესმენი კი არა, უკაცრავად, მაგრამ „მთაწმინდელი ძველი ბიჭი“ იდგა, რომელიც „საქმეს მირჩევდა“. საკმაოდ მშვიდად, ღიმილით (დღემდე მიკვირს თავი როგორ შევიკავე) ვუთხარი, რომ ტყუის და „ვერსიაში“ მისი ინტერვიუ კი არა, კომენტარიც არ გაჭაჭანდებოდა...

ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუს შემდეგ კი, მაინტერესებს: აბა, ბატონო აჩიკო, მითხარით, ახლა ვინ ტყუის — „ვერსია“, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ორივე ერთად, თუ თითოეული ცალკე? **„ალასანიამ ოთხივე ტენდერი ჩაშალა, მქონდა მცდელობა, გადამერწმუნებინა, რამდენჯერმე ვთხოვე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მან ტენდერის გარეშე, პირდაპირ ჩააბარა მომარაგება ერთ კომპანიას, მიუხედავად მოწამვლის ფაქტებისა“,** — ბრძანა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა. მართალია, „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობაზე, ალექსი პეტრიაშვილის სპორტული „სპიჩი“ ძალიან მომეწონა, მაგრამ ბატონებო, თქვენ ქვეყანას მართავთ, თუ ფეხბურთს თამაშობთ? რას ნიშნავს, „მქონდა მცდელობა გადამერწმუნებინა, რამდენჯერმე ვთხოვე“ და ასე შემდეგ? უკაცრავად, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ხართ, თუ თამაშის მთავარი არბიტრი? „რამდენჯერმე გავაფრთხილე, მაგრამ ვერაფერს გავხდი“... კალათბურთის მატჩში, 4 გაფრთხილება (ყვითელი ბარათი) შეიძლება, მეხუთე უკვე ავტომატურად „წითელია“ და მოთამაშე მოედანს ტოვებს. ამ ლოგიკით, ანუ კალათბურთის პრინციპიდან გამომდინარე, ალასანიას მთავრობიდან გაშვება ნამდვილად არ მიკვირს, მაგრამ ჩემი კეთილი რჩევა იქნება, ქვეყანა კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, პოლიტიკურად მართეთ, სპორტულ ტერმინებს გაეშვით, თორემ უხერხულ სიტუაციაში თვითონვე აღმოჩნდებით. ჩაშალა ტენდერი? ხელოვნურად შეუქმნა მონოპოლიური მდგომარეობა ერთ კომპანიას და მით უმეტეს, ამაზე გააფრთხილეთ კიდეც? ჰოდა, ადეკვატური ზომები მაშინვე მიიღეთ, ორი წლის მანძილზე „4 ყვითელი“ ბარათის გაჯანჯლება რა სპორტია? თუ პოლიტიკურ სპორტს გვეთამაშებით (ჯერ ვერ ჩამოვყალიბდი, კონკრეტულად რა სახეობას თამაშობს მთავრობა), მაშინ სწრაფად, ტემპში გადაწყვიტეთ ნებისმიერი საკითხი, აბა, 2 წელზე გაწელილი ერთი თამაშის ისტორია ბუნებაში არ არსებობს!

დაბოლოს, წლებია ეკონომიკაზე ვწერ და ამ ხნის მანძილზე სახელმწიფო ტენდერებში არსებული არაერთი დარღვევა შემხვედრია. თუმცა აქამდე, არცერთი ელექტრონული ტენდერი არ მინახავს, სადაც რომელიმე საჯარო უწყებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 000 000 ლარზე მეტ თანხა, სატენდერო პირობების შესრულებამდე ანუ სამუშაოს დამთავრებამდე, წინასწარ, ბე-ს სახით ჩაერიცხა ამა თუ იმ კომპანიისთვის. ჩვეულებრივ, როგორც წესი, სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას წინასწარ, 10%-დან 15%-ის ფარგლებში ურიცხავენ ხოლმე თანხას.

ვერსიანიუსი

## მრავალშვილიან ოჯახებს ზამთრის პერიოდში გადაუხდელობის მიზეზით გაზმომარაგება აღარ შეუწყდებათ



ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველი გია ბენაშვილი ოქროყანაში, №119 აგარაკზე მცხოვრები თათული და გიორგი წიკლაურების მრავალშვილიან ოჯახს ეწვივნენ.

გასულ ზამთარს ოჯახის დავალიანებამ 565 ლარს მიაღწია. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ინიციატივით, მრავალშვილიან ოჯახს გაზმომარაგება უკვე აღუდგა, ხოლო დაგროვილ დავალიანებას ისინი ეტაპობრივად თვეში 10-10 ლარობით დაფარავენ.

სოციალური დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში 2 000-მდე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს. 2014 წლის 24 ოქტომბერს სოციალურად დაუცველი, დევნილი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მიზნით შემუშავებული გეგმის თანახმად, კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ აბონენტებს, სადაც ოთხი და მეტი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება, ზამთრის პერიოდში გადაუხდელობის მიზეზით გაზმომარაგება აღარ შეუწყდება, ხოლო დაგროვილ დავალიანებას ეტაპობრივად დაფარავენ.

ამ ინიციატივას დედაქალაქის მასშტაბით უკვე გამოეხმაურა ასზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახი. მათ უკვე გაიარეს შესაბამისი რეგისტრაცია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ რაიონულ ბიზნესცენტრებში, სადაც მოხმარებული ბუნებრივი გაზის განწილვადების განსაკუთრებული პირობები შესთავაზეს. ყველა შემთხვევაში კომპანიამ დაუყოვნებლივ აღადგინა გადაუხდელობის მიზეზით შეწყვეტილი გაზმომარაგება.

*„პირველი“*



# ნიკა რურუა სააკაშვილთან შეხვედრას აპირებს

## როდის დაურეკა ექსპრეზიდენტმა და რატომ ეპარება ეჭვი რესპუბლიკელების პროდასავლურობაში კულტურის ექსმინისტრს

რუსუდან შელია
557-100-768

**საგანგებოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილმა კოალიციამ ერთიანობა მხოლოდ ორი წელი შეინარჩუნა — ირაკლი ალასანია უკვე „ოცნების“ ოპოზიციაა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების პირობას დებს. მმართველი ძალა კი პარლამენტში უმრავლესობის შენარჩუნებას ცდილობს და დამოუკიდებელ მაჟორიტარებზე „ნადირობს“. „თავისუფალი დემოკრატების“ „ქართული ოცნებისგან“ გამიჯვნა პოლიტიკური ცვლილებების მხოლოდ დასაწყისია და მთავარი მოთამაშეების დაჯგუფების მნიშვნელოვანი პროცესი ჯერ კიდევ წინაა... პოლიტიკური წილების გადანაწილებასა და ქართულ პოლიტიკაში შექმნილ ახალ რეალობაზე „ვერსიას“ საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, საზოგადოება „ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკოლოზ რურუა ესაუბრა.**

— უდავოა, კოალიციიდან ირაკლი ალასანიას წამოსვლით ახალი ოპოზიციური ცენტრი შეიქმნა. პირადად ჩემთვის უსიამოვნო ის ნეგატიური ნიაღვარია, რომელიც ალასანიას უმრავლესობიდან წასვლას მთავრობის მეთაურისა თუ კოალიციის სხვა წარმომადგენლებისგან მოყვა. იმის დაანონსებაც, რომ საზოგადოება ირაკლი ალასანიაზე, თურმე, სამარცხვინო ფაქტებს გაიგებს, პოლიტიკურ რადიკალიზმზე მიანიშნებს. დემოკრატიულ ქვეყნებში გაერთიანებიდან პოლიტიკოსის გასვლა სამყაროს დასასრულად არ ითვლება, ეს პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია. უნდა გვესმოდეს, რომ დემოკრატია დარწმუნების ფილოსოფიაა და არა დაშინების!

— **ესე იგი, ალასანიას დაკავებას არც თქვენ გამორიცხავთ?**

— თუ ხელისუფლება ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებს, გამოძიება შესაძლოა, ირაკლი ალასანიამდეც მივიდეს. კარდინალი რიშელიე ამბობდა, ნებისმიერი ადამიანის მიერ დაწერილი ექვსი სტრიქონი მომეცით და ტექსტში მისი ჩამოხრჩობის მიზეზს აუცილებლად ვიპოვიო. ასე რომ, სახელმწიფო მოქალაქეზე ყოველთვის ძლიერია, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, დემოკრატიულ მთავრობას კი არა, ტირანიას მივიღებთ. მაინც იმედი მაქვს, საქართველო ამ დამღუპველ გზაზე არ გადაუხვევს.

— **ხელისუფლებას საპირისპირო არგუმენტი აქვს — დემოკრატია ხომ კანონის წინაშე თანასწორობასაც გულისხმობს?**

— ეს მხოლოდ თავისმართლების მცდელობაა. მსგავს შემთხვევებში ყველა ავტორიტარული რეჟიმი არგუმენტად კანონის უზენაესობას იშველიებს. თუ ვინმემ ბიუჯეტიდან თანხა მოიპარა, ვერავინ ჩაყლაპავს და აუცილებლად გამოვლინდება, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ადამიანის კრიმინალად გამოცხადება, უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაა და დემოკრატიის ჩარჩოებში არ ჯდება. საქართველოს ამ ქმედებებს, რუსეთის გარდა, არავინ მოუწონებს.

— **აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაცია არ ფიქრობს, რომ ირაკლი ალასანიას გათავისუფლებით საქართველომ დასავლურ კურსს გადაუხვია. ვერც თავად ალასანიამ დააკონკრეტა, რა იგულისხმა ქვეყნის კურსის ცვლილებაში.**

— ირაკლი ალასანიას განცხადება დაზუსტებას მოითხოვს — თუ აქვს ინფორმაცია, რომელსაც არ ამბობს, დუმილის მიზეზი უნდა განმარტოს, ან, თუ საქმე სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება, იმ ადამიანებთან მაინც უნდა ისაუბროს, ვისაც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება აქვთ. მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, შესაძლოა, ამ დრომდე შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცა, თუმცა აუცილებლად მოუწევს განმარტება, რაში გამოიხატება საქართველოს საგარეო კურსის ცვლილება. მაინც მგონია, კოალიციაში ისეთი პროცესები დაიწყო, რის შესახებაც ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს.

— **კოალიციაში რესპუბლიკელების დარჩენა ირაკლი ალასანიას მიერ პროვოცირებული პროცესის დასრულებად არ მიგაჩნიათ?**

— რესპუბლიკური პარტია აბსოლუტურად არ მაინტერესებს და მათ პოლიტიკურ გეგმებს ნაკლებად ვაკვირდები. ჩემთვის ისიც გაუგებარია, რატომ მიიჩნევა ეს პარტია დასავლური ღირებულების გამტარებლად.

— **ამ პარტიის ღირებულებებზე საწინააღმდეგო არგუმენტი გაქვთ?**

— პაატა ზაქარეიშვილი ჩემთვის დასავლური კურსის მიმდევარი მინისტრი არ არის. როგორც წესი, იგი მხოლოდ ორაზროვან განცხადებებს აკეთებს... „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ — რესპუბლიკელები, პრორუსულ პოლიტიკოსებთან ერთად, კოალიციაში დარჩნენ.

— **და პოლიტიკური კრიზისიც ამით ამოიწურა?**

— როცა სამი მინისტრი აცხადებს, რომ ქვეყნის დასავლური კურსი იცვლება, ეს პოლიტიკური კრიზისია, თუმცა დაუძლეველი არაფერია. კრიზისს მართვა სჭირდება, კოალიციას კი ისტერიკის ნიშნები ეტყობა. თუ დასავლური ღირებულების ერთგულნი რჩებიან, ეს საქმეში უნდა გამოავლინონ. კოალიციას წინ ბევრი გამოცდა ელის ორი წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ ყველა ძლიერი დასავლელი პოლიტიკოსის გაუცხოება მოახერხა. ამისთვის კარლ ბილდტის მაგალითიც კმარა.

— **ამაზე პასუხისმგებელი, წესით, მაია ფანჯიკიძე და ირაკლი ალასანიას გუნდია — საგარეო მიმართულება სწორედ მათ ებარა!**

— ბუნებრივია, საგარეო პოლიტიკაში ჩავარდნებზე პასუხისმგებელი საგარეო საქმეთა სამინისტროა, რომელიც საკმაოდ სუსტად მუშაობდა.

— **ასეა თუ ისე, შიდაპოლიტიკაში მთავარი მოთამაშე ისევ ბიძინა ივანიშვილია, არა?**

— ბიძინა ივანიშვილი კოალიციის არაფორმალური მმართველია, რაც დემოკრატიისთვის უცხოა. თუ ბიძინა ივანიშვილს კოალიციის მართვა სურს, ოფიციალური თანამდებობა უნდა დაიკავოს, გარედან ამის კეთება არ შეიძლება!

— **კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის თავიდანვე ხომ ცნობილი იყო, რომ კოალიციის მთავარი ავტორიტეტი, თუნდაც მოქალაქის სტატუსით ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა?**

— პოლიტიკაში მონაწილეობას მხოლოდ ავტორიტეტი არ განსაზღვრავს, ღიად ვილაპარაკოთ — ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში ფინანსური გავლენა აქვს. მან კოალიციაში შემავალ პარტიებს, ოფიციალურად, თითო-თითო მილიონი გადაუხადა, თუმცა ცხოვრება წინ მიდის, შესაძლოა, როცა ერთად იყვნენ, შეხედულებებიც ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ ახლა გზების გაყოფის მიზეზია საინტერესო. რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი „თავისუფალმა დემოკრატებმა“, დრო გამოაჩენს.

— **ირაკლი ალასანიას გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას ლობირებაც „დაბრალდა“.**

— ირაკლი ალასანიას დიდი ხანია ვიცნობ. როგორც ვიცი, როცა ნაციონალური მოძრაობის რიგები დატოვა, ამ ადამიანებთან კავშირი აღარ ქონია. შესაძლოა, სადმე ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ ეს საჯარო იყო. ამიტომ ეს ბრალდება თავად ღარიბაშვილმა უნდა დააზუსტოს. ისე, ვფიქრობ, რომ მსგავსი განცხადება ირაკლი ალასანიას მიმართ მუქარაა.

— **იქნებ, ეს შეთანხმებული თამაშია, რომ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალა გამოიკვეთოს?**

— არა, მათი გახლეჩა რეალურია. კონსპირაციების არ მჯერა.

— **არც ახლა აღიარებთ, რომ თქვენ, ირაკლი ალასანია და გიორგი მარგველაშვილი ახალ პოლიტიკურ ცენტრს ქმნით?**

— სრული სისულელეა. ამ პროცესში არ ვმონაწილეობ და ვის აქვს ამაზე საუბრის საფუძველი, არ ვიცი. თანამშრომლობას არავისთან გამოვრიცხავ, ვინც საქართველოს თავისუფლებას მიზნად ისახავს. ბუნებრივი მოკავშირეა ყველა, თუნდაც ოპონენტი, ვინც ევროპული არჩევანი გააკეთა. დანარჩენზე საუბარი მარჩიელობას დაემსგავსება, რისი სურვილიც არ მაქვს.

— **ბოლო დღეებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, ალასანია 15 ნოემბრის აქციას შეუერთდება?**

— ესეც მარჩიელობის სფეროა. ჩემი აზრით, ალასანიამ შეცდომა დაუშვა, როცა ნაციონალებთან თანამშრომლობა გამორიცხა. ვნახოთ, 15 ნოემბერიც მალე დადგება.

— **15 ნოემბრიდან მაინც რას ელით? ვიცი, აქციაზე წახვალთ...**

— 15 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე ბევრ ადამიანს ველი, რადგან აფხაზეთის დაცვის იდეა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ აგორებული თემა არ არის. რაც შეეხება აქციაზე წასვლას, ამის შესახებ საზოგადოება „ივერია“ სპეციალურ განცხადებას უახლოეს დღეებში გაავრცელებს.

— **ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ აქციის დაანონსებისთანავე ექსპრეზიდენტმა, პრაქტიკულად, ხელისუფლების რევოლუციით შეცვლა დააანონსა. პროვოკაციებს ელით?**

— ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს სურვილი, რაღაც საკითხს დაეპატრონოს, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ასე იქნება. აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ყველა პატრიოტი ქართველისთვის მნიშვნელოვანი და წმინდა მიზანია. ქართველი პოლიტიკოსებიც ამას უნდა ემსახურებოდნენ. პროვოკაციას არ ველი, მაგრამ რომ იყოს, მერე რა?

— **დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობა თქვენთვის არაფერს ნიშნავს?**

— მხოლოდ საქართველოში კი არა, მსოფლიოში უამრავი დაქირავებული პროვოკატორია, მაგრამ ამას სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ისინი ქართული საზოგადოების არჩევანს ვერ შეცვლიან, რადგან დემოკრატიას ალტერნატივა არ აქვს. სააკაშვილის განცხადებებზე კი თავად მას უნდა ჰკითხოთ.

— **სააკაშვილთან კონტაქტი გაქვთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ მიხეილ სააკაშვილთან ცუდი ურთიერთობა მაქვს. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, დამირეკა, მომისამძიმრა... ცოტა ხნის წინ მეგობართან ვიყავი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ტელეფონით ესაუბრა. მოგვიანებით, მეც ველაპარაკე, სადმე ჩასვლა და შეხვედრა მთხოვა. სააკაშვილის გეგმებს არ ვიცნობ და არ იქნება სწორი, მისი პოლიტიკური გეგმები გავამართლო ან გავაკრიტიკო. რაც არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ვინც საქართველოს დემოკრატიისთვის მუშაობას აპირებს, ჩემი პოტენციური მოკავშირეა.

— **რუსეთის მიერ აფხაზეთის ღია ანექსიის პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართული, რუსული და აფხაზური მხარეები მალე რკინიგზის გახსნაზე პოზიტიურ განცხადებას გააკეთებენ, თუმცა მთავრობა ამტკიცებს, რომ ამ მხრივ მოლაპარაკებები არც დაწყებულა. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, კულუარულ მოლაპარაკებებს ვინ აწარმოებს?**

— კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ აფხაზეთის რკინიგზის გახსნა დაუშვებელია, როცა იქიდან 500 ათასი ადამიანი გამოყარეს. ვისთვის ხსნი რკინიგზას? ეს საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება ისევე, როგორც ავარო-ყვარლის გზა. ეს სამხედრო საფრთხისშემცველი ელემენტი გახდება და კიდევ ერთი რეგიონის რუსიფიკაციას მოემსახურება — კახეთის პასპორტიზაცია დაიწყება. თუ ამ პროექტის განხორციელება რეალურად დაიწყება, ეს ქვეყანაში მასობრივ მღელვარებას გამოიწვევს და პროტესტის ისეთი ტალღა აგორდება, რომელსაც მთავრობა ველარ ჩააცხრობს. საზოგადოება და პოლიტიკური მოთამაშეების დიდი სპექტრი კი ამას არ დაუშვებს.

ვერსიანიუსი

# „სარაჯიშვილის“, „ბაგრატიონისა“ და „ბორჯომის“ ფალსიფიკაციის ფაქტზე სამი პირი დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელის, ცქრიალა ღვინისა და მინერალური წყლის ფალსიფიკაციის ფაქტზე დაკავებულები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის დასამზადებლად იყენებდნენ სხვადასხვა ესენციას და დაბალი ხარისხის სპირტს, ხოლო „ბორჯომის“ დასამზადებლად იყენებდნენ ონკანის წყალს, სოდას, მარილს, იოდს, აირს და წინასწარ შეგროვებულ 0,5 ლიტრიან ბოთლებში ასხამდნენ. ფალსიფიცირებული სასმელების რეალიზაცია ხდებოდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სავაჭრო ობიექტზე. კუსტარული საწარმოს ჩხრეკისას ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული პროდუქცია და მანქანა დანადგარები.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 1-დან 3 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

*„პირველი“*

# გამარჯვების ყოფილ წარმომადგენელს თანასოფლელები კრიმინალში ადანაშაულებენ

## ვის ესროლა და რა კავშირი აქვს გელა ნებუნიშვილს კახა შუშანაშვილთან



კახა შუშანაშვილი

ლაშა დვალი

**„ვერსიის“ ერთ-ერთ ნომერში ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩანერგილ ადამიანებზე სტატიის დაბეჭდვის შემდეგ, რედაქციაში სოფელ გამარჯვებიდან დაგვიკავშირდნენ: „რატომ არ დაწერეთ ის, რომ გელა ნებუნიშვილმა სოფელი გაძარცვა? ის რატომ არ დაწერეთ, რომ იარაღით გვაშინებდა და ამიტომ ხმას ვერ ვიღებდით?!“ — გვისაყვედურეს და შეხვედრა გვთხოვეს. რედაქციაში მხოლოდ სამი მათგანი გვესტუმრა. საუბრის დასაწყისშივე თქვეს, თუ საჭირო იქნება, მთელი სოფელი ჩამოვალთ, ოღონდ ეგ კაცი უკან აღარ დააბრუნოთო. მერე კი, გამგებლის ყოფილ წარმომადგენელზე, გელა ნებუნიშვილზე ისეთი ამბები გვიამბეს, თავი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პრემიერაზე გვეგონა.**

**„როცა ქვეყანა აირია და ხელში ყველამ იარაღი აიღო, ნებუნიშვილმა ზვიადისტობა დაიბრალა. იარაღით დარბოდა, აშინებდა ყველას, არაფერს ერიდებოდა და შეიძლება ითქვას, სოფელში თარეშობდა. მზესუმზირის გამყიდველ ქალებსაც კი წილში ჩაუჯდა, ყველასგან ფული უნდოდა. ვინც უარს უბედავდა, იარაღს უმიზნებდა და აიძულებდა, ხარკი ეხადა. სახელებსა და გვარებსაც გეტყვით, ასე უნდობლად რომ არ გვიყუროთ.**

**1992 წელი იყო, როცა გელა რუსთავის „მარშუტკებს“ დაადგა და ყოველდღიური გადასახადი დაუწესა. არადა, თურმე ამ „მარშუტკებს“ რუსთავში ერთი კანონიერი ქურდი, ლაშა შუშანაშვილის ძმა კახა კურირებდა. დაიწყო ამათ შორის ომი. საბოლოოდ, გელამ ყველაფერზე უარი თქვა, ქურდებს ვერ მოერია და ისევ სოფლელებს დაგვერია. ჩვენი სოფლელი, ახლაც ცოცხალია ის კაცი, ოთარ იველაშვილი დაჭრა. რა ვერ გაიყვეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფეხები დაუცხრილა. ის კაცი გადარჩა და ნებუნიშვილი დაჭრა. აი, ასეთი ომობანა ჰქონდა სოფელში გამართული და როცა გავიგეთ, ახალი გამგებელი სოფლის წარმომადგენლად ნიშნავდა, ფეხებში ჩავუვარდით. ვთხოვეთ, ეგ სიმსივნე მოაშორე სოფელსო, მაგრამ გვითხრა, მეურნე კაცია, შანსი მივცეთ, შვილებს იფიცება, სოფელს ფეხზე დავაყენებო. რომელი ფეხზე დამყენებელი ეგ არის? — სოფელში კომუნისტების დროინდელი რკინის წყლის მილების პლასტმასით შეცვლა რომ დაიწყო, ძველები გააქრო, ჯართში ჩააბარა ალბათ და ესეც შერჩა. მერე ძველი დრო გაიხსენა და ისევ „მარშუტკებს“ მიადგა, დღეში თითომ თითო რეისზე ლარი მიხადეთო. დაგროვდა ეს ყველაფერი და რაიონის გამგებელი იმდენჯერ შეაწუხა გამარჯვების მოსახლეობამ, სათვალავი აერია. როგორც ვიცით, მან რამდენჯერმე გააფრთხილა ნებუნიშვილი, საქმეს მიხედე და ხალხის ტერორს შეეშვიო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. 31 ოქტომბერს გავიგეთ, რომ ნებუნიშვილი მოხსნეს. ამან კიდევ 1 ნოემბერს დანიშნა აქცია და განცხადება გააკეთა, გადავდექიო. ახლა ისევ იმუქრება, თანამდებობაზე დავბრუნდები და ვინც გვერდით არ მიდგას, ყველას პასუხს მოვთხოვო. გვერდით, ნათესავებისა და ოჯახის წევრების გარდა, არავინ უდგას და გამოდის, სოფელზე შურისძიებას აპირებს. ეგ თუ დაბრუნდება, კარს ავუჭედავთ და გამგეობასთან შიმშილობას დავიწყებთ. ნებუნიშვილმა, როცა დასჭირდა, ოჯახის წევრები არ დაინდო და ჩვენ დაგვინდობს? იცის თავად, რასაც ვამბობთ და ბოლომდე ნუ გვათქმევინებს თავის კაიკაცობას, თორემ სახლიდან გარეთ ცხვირს ვერ გამოყოფს“,** — მონოლოგის დასრულების შემდეგ, გამარჯვების მკვიდრებმა ისეთი დეტალებიც გვიამბეს, რისი გამოქვეყნებაც, რედაქციამ არაეთიკურად მიიჩნია.



გელა ნებუნიშვილი

„ვერსიამ“ ნებუნიშვილ-იველაშვილისა და ნებუნიშვილ-შუშანაშვილის თემები გადაამოწმა. პირველ შემთხვევაში გავარკვიეთ, რომ ნებუნიშვილი და იველაშვილი ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ მართლაც ყოფილან გადაკიდებული და ერთმანეთიც დაუჭრიათ, თუმცა მაშინ არც ერთმა იჩივლა და არც ჩვენება მისცეს — **„შავი სამყაროს წარმომადგენლები არიან და ჩვენების მიცემასა და ჩივილზე უარი ამიტომ თქვეს“,** — განგვიმარტეს. ისიც გავარკვიეთ, რომ მაშინ მათ კრიმინალური წილები ვერ გადაინაწილეს და „ომობანაც“ ამიტომ მოაწყვეს.

კახა შუშანაშვილთან დაპირისპირება კი სწორედ ის საკითხია (და არა მარტო ეს), რომლის დაბეჭდვისგანაც რედაქციამ თავი შეიკავა, თუმცა გეტყვით, რომ დაპირისპირებას ადგილი ნამდვილად ჰქონდა. რაც შეეხება წყლის გამქრალ მილებს — ამ მილებს თურმე მთელი სოფელი მისტირის და ხელს ნებუნიშვილისკენ იშვერს, რაიონში თითქმის ყველაზე დიდი სოფლის დაქსელვიდან ამოღებული მილებით ათეულ ათასობით დოლარი იშოვა და მომკითხავი არავინ ჰყავსო.

ნებუნიშვილი რესპუბლიკური პარტიის წევრია და უკვე პრობლემები უშუალოდ პარტიაშიც აქვს, რადგან აღნიშნული დემარშით მან ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე დაასხა წყალი. თანაც მაშინ, რომ წინ 15 ნოემბერია. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, ნებუნიშვილს ყველაზე მეტად კოალიციიდან რესპუბლიკელთა გამოყოფა სურდა, რათა ოპოზიციონერი ოფიციალურად დარქმეოდა და ღია იერიშზე გადასულიყო. ამის თაობაზე მან უკმაყოფილება ღიად დააფიქსირა. პარტიაში აუხსნეს, რომ ამდაგვარ რამეს ნებუნიშვილი არ წყვეტს და შეუძლია ამბიციები დაიოკოს, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, ის დედაპარტიის წინააღმდეგაც აპირებს წასვლას და მორიგი პროვოკაციის მოწყობასაც გეგმავს. გამარჯვების მკვიდრებმა ისიც გვითხრეს, ნუ გაიკვირვებთ, 15 ნოემბერს ნებუნიშვილი ნაციონალების აქციაზე სიტყვითაც გამოვიდესო.

## პატიმრის დღიური

პატიმარი №0578

# ცრუ „კაიბიჭების პარადი“ ზონაზე

## როგორ ცდილობენ ახალბედა პატიმრები თავის გადარჩენას ციხეში და როგორ ჩაუშვა ტყიბულელმა თანაქალაქელი



ზოგისთვის ციხე რომანტიკასთან ასოცირდება. ბავშვობაში სხვადასხვა ნაწარმოებში წაკითხული კრიმინალური ცხოვრების ამსახველი ფაქტები ამის საფუძველს იძლევა და ამ „რომანტიზმის“ განცდა გარდატეხის ასაკში ბევრს სურს. რეალურად, ციხეში სხვა სამყაროა. იქ მოხვედრილი ადამიანი ხვდება, რომ რომანტიზმი მას შემდეგ სრულდება, რაც ზურგსუკან ხმაურით იკეტება საკნის კარი და ხვდები, რომ შენს წინ წიგნებში აღწერილი რომანტიკული პერსონაჟები კი არა, რეალური კრიმინალები დგანან და მზად არიან, პირველივე შეცდომა არ გაპატიონ, შუაზე გაგგლიჯონ, შეგჭამონ... შესაბამისად, ყველა სხვადასხვა გზით ცდილობს თავის გადარჩენას და ათასგვარ ტყუილს იგონებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება — საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს და გამორიცხულია, შენი სოფლელი თუ ქალაქელი, ან ვინმე ისეთი არ გამოჩნდეს, რომელიც შორიდან მაინც არ გიცნობს. თავის შველის ერთ-ერთი საშუალება „კაიბიჭობის“ დაბრალებაა. შეხვალ, ამბობ, რომ „კაიბიჭი“ ხარ და პრივილეგიით სარგებლობ, თუმცა...

გარდა იმისა, რომ „კაიბიჭობა“ ერთგვარი პრივილეგიაა, დიდი პასუხისმგებლობაც არის. კაიბიჭი ვალდებულია, ციხეში არსებულ „საერთოზე“ იზრუნოს, საჭიროების შემთხვევაში „სვაბოდაზე“ დარეკოს, თუ ქურდულს სჭირდება, ფული მოიძიოს. ეს კი ხშირ შემთხვევაში ურთულესია, რადგან ქურდულს დიდი კუჭი აქვს და ხშირად 1000 დოლარი ან მეტი სჭირდება.

ტყიბულელი შოთა დ. ციხეში მარიხუანას გამო მოხვდა. მოწეული ჰქონდა როცა ჩაავლეს და ოთხი წელი მისცეს. ციხეზე კიდევ არაფერი, მაგრამ ზონაზე მიხვდა, რომ თავის გატანა გაუჭირდებოდა. ჰოდა, როცა ჰკითხეს, ცხოვრებით ვინ ხარო, დაუფიქრებლად მიუგო, „კაიბიჭი“ ვარ, ძმაოო. გაამართლა — გადატვირთულ კამერაში ადგილი გამოუყვეს. ჩაი, სიგარეტი და ჰიგიენური ნივთები მიაწოდეს. ისიც, ნარზე შაჰ-აბასივით წამოიჭიმა. ის დღე მშვიდობიანად დასრულდა, მეორე დღეს კი შოთას მაყურებელმა უხმო.

„რა გაქვს ქურდულისთვის გაკეთებული?“ — კითხა მაყურებელმა.

შოთა არ დაიბნა და თუ რამე ჰქონდა გაგებული, ყველაფერი წვრილად ჩამოარაკრაკა. მაყურებელმა კმაყოფილი სახით ჩაილაპარაკა, ძალიან კარგი, ჩვენი ძმა ხარ. დღე დღეს მისდევდა, თითქოს არაფერი იცვლებოდა, მაგრამ ერთ დღეს ვითარება დაიძაბა — „მაყურებლები“ ზონის დირექტორს, ლაშა ბრეგვაძეს დაეჯახნენ და დირექტორმაც რეჟიმს „მოუჭირა“. სასწრაფოდ გახდა საჭირო, სიგარეტი „სვაბოდიდან“ შემოეტანათ. ამის მოგვარება „კაიბიჭებმა“ ითავეს.

„დევილუპე“, — უსაშველო იმერული აქცენტით უთხრა შოთამ პატიმარ №0578-ს.

„რა მოხდა, შოთაია“, — გაუღიმა №0578-მა.

„კაიბიჭებს სიგარეტის მოტანა დაგვავალეს, თითოს ათი ბლოკი, ეს კი ორასი ლარია, მაგდენი ფული, რომ ვმუშაობდი, მაშინაც არ მქონდა“, — დაიწუწუნა შოთამ.

„რაა? რა თქვი? სად მუშაობდი?“ — გაოცდა პატიმარი №0578.

„რა მნიშვნელობა აქვს?“ — ჩაეკითხა შოთა.

„მომისმინე, იდიოტო, კაიბიჭებს მუშაობა ეკრძალებათ და ეგ მაყურებლებთან არ წამოგცდეს, თორემ ტყავს გაგაძრობენ. შენი კაიბიჭობა არსად გაიშვა“, — გაეცინა №0578-ს.

შოთა ჩაფიქრდა, მერე გაფითრდა, ბოლოს კი პატიმარს ლამის მუხლებში ჩაუვარდა, არ გამთქვა და რაც გინდა მთხოვეო. როგორც იქნა, 10 ბლოკი სიგარეტი შოთამაც იშოვა და პირველი ქარიშხალი გადაიტანა, მაგრამ...

„შოთა შენთან ყველაზე ახლოს არის და გვითხარი, უხსენებია ოდესმე, რომ მუშაობდა?“ — მაყურებლები პატიმარ №0578-ს საკუთარ კამერაში კითხავდნენ.

„არ ვიცი, ვინ, სად და როგორ მუშაობდა, მაგრამ ფაქტია, შოთა გულიანი ბიჭია და მაგის გაფუჭება არ ივარგებს. მშვიდად მიახვედრეთ, რომ არ არის კაიბიჭობისთვის დაბადებული. საიდან გაიგეთ, რომ მუშაობდა“, — იკითხა №0578-მა.

„მე ვთქვი. ტყიბულელი ვარ მეც და დისტრიბუციის მანქანაზე მუშაობდა მძღოლად. აქ კი, კაიბიჭი ვარო, გაიძახის. მასე არაა, ძამია“, — მაყურებლების კამერაში შესული ახალი პატიმარი ცდილობდა ქურდული ტერმინოლოგიით ესაუბრა.

მეორე დღეს შოთა №0578-თან მივიდა და უთხრა, რეზბალნიცაზე მიშვებენ ფოცხვერიასთან, ტორპედოთი რაღაც უნდა გამატანონო. პატიმარი №0578 მაშინვე მაყურებლებთან ჩავიდა.

„რა ხდება, რა მოიფიქრეთ? სად შოთა და სად კანონიერ ქურდთან წასაღები მალიავა? სულ გადაირიეთ?“ — ლამის ყვირილით უთხრა მაყურებლებს.

„არაფერი. კაიბიჭობა ხომ უნდა. ჰოდა, კეთილი ინებოს და ტორპედო გაიკეთოს და რეზბალნიცაზე წავიდეს. ვნახოთ, რა მოხდება. თან გავერთობით“, — გაიღიმეს მაყურებლებმა.

„ტორპედო“ უკანა ტანში გასაკეთებელი ნივთია, რომელშიც, როგორც წესი, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ჩაწერილი. პატიმარი №0578 ხვდებოდა, რომ შოთასთვის ამას შეგნებულად აკეთებდნენ და არც ფოცხვერიასთან გაუშვებდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას. „ტორპედო“ მცირე მოცულობისაა, მაგრამ შოთასთვის დიდი გააკეთეს, დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგრძის. უთხრეს, უკანა ტანში დამალეო. შოთა პარაშაში შევიდა და დაახლოებით ნახევარ საათში იქიდან კვნესით გამოვიდა, ასევე კვნესით ავიდა „ვარონკაში“ და რეზბალნიცაზე გაემგზავრა. იქ რა მოხდა, არავინ იცის, რადგან შოთა რეზბალნიციდან კრიტში გაუშვეს...

* * *

„ეს ტყიბულელი კაიბიჭობას რატომ იბრალებს?“ — ზონაზე მოყვანილმა ახალმა პატიმარმა იმ ბიჭს დაადო ხელი, რომელმაც შოთა გაწირა.

პატიმარმა №0578-მა მაშინვე ყურები ცქვიტა, ახლადმოსული დაიმარტოხელა და ყველაფერი წვრილად გამოკითხა.

„მაგის კაიბიჭობა არ გაიშვა. ეგ სანტეხნიკია, მთელი ცხოვრება ტუალეტებს წმენდდა, მამამისიც სანტეხნიკი იყო და ციხეში მილების მოპარვისთვის მოხვდა. ახლა გამიკვირდა, რამკებს რომ ამტვრევს“, — ჩამოარაკრაკა ახლადმოსულმა.

მაყურებლების კამერაში ტევა არ იყო. ტყიბულელს №0578 კითხვებს უსვამდა, ის კი დამფრთხალი პასუხობდა. ბოლოს იფეთქა — პატიმარი №0578 კაიბიჭი არაა და კითხვებს რატომ მისვამსო?!

„ჩვენ ვაძლევთ ნებას და შენ ვინ ხარ, რომ უკრძალავ?!“ — გაბრაზდა მაყურებელი და ტყიბულელს სილა გააწნა. ერთ სილას მეორე მოჰყვა, ტყაპა-ტყუპი დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა. ბოლოს კი №0578-მა ყურთან ტუჩები მიუტანა და ჩუმად უთხრა: ეს შოთას გაწირვის გამო გერგო და გახსოვდეს, სხვაზე ის არ უნდა თქვა, რაც შენც მიქარული გაქვს...

* * *

შოთა ციხიდან 2013 წელს გათავისუფლდა. ზუსტად ერთ თვეში ავარია გააკეთა და კაცი მოკლა. სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ციხეზე შესულმა უკვე იცოდა, რომ „კაიბიჭობაზე“ პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. შეყვარებული კი, რომელიც 4 წელი ელოდა, მეორე დაჭერიდან ერთ თვეში გათხოვდა და ცოლად ადგილობრივ პოლიციელს გაჰყვა. ჩემზე იძია შურიო, — ასე უთხრა შოთამ №0578-ს, როცა ციხიდან მოსაკითხად დაურეკა.

# American Express-ით ამიერიდან Wendy's-შიც ისარგებლებთ

American Exspress-ის ნებისმიერი ტიპის ბარათით ამიერიდან Wendy's-შიც ისარგებლებთ — ამ სასიამოვნო სიახლისა და საქართველოს ბაზარზე ორი უმსხვილესი ჯგუფის პარტნიორობის შესახებ, ჟურნალისტებს „ვისოლისა“ და „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელებმა, ვაკეში მდებარე „ვენდისის“ რესტორანში განუცხადეს. მეტი თვალსაჩინოებისთვის, „ამექსით“ უგემრიელესი ბურგერებიც შეიძინეს და „საქართველოს ბანკის“ ამ მოქნილი პროდუქტით, „ვენდისში“, პირველ მოსარგებლეებად დაფიქსირდნენ.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის განმარტებით, „ვენდისში“ „ამერიკან ექსპრესით“ სარგებლობის გადაწყვეტილება, მომხმარებლის ინტერესიდან გამომდინარე მიიღეს. **სოსო ფხაკაძე: „11 ნოემბრიდან American Express-ის მფლობელებს უკვე Wendy's ყველა რესტორანში შეუძლიათ გადაიხადონ საკუთარი ბარათით და უგემრიელესი პროდუქტი და უმაღლესი ხარისხის მომსახურება მიიღონ. ვენდის გაყიდვები ყოველთვიურად იზრდება. ვფიქრობთ, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ მუდმივად მივყვებით მომხმარებლის სურვილს — მომხმარებელი რასაც გვიკვეთავს, იმას ვაკეთებთ. ესაა „ვისოლ ჯგუფის“ კულტურა. ბევრმა ადამიანმა აღნიშნა, რომ ისეთი კარგი ბარათი, როგორიცაა „ამერიკან ექსპრესი“, აუცილებლად უნდა იყოს „ვენდისის“ რესტორნებში. გვიხარია, რომ ჩვენ ერთგულ მომხმარებელს კიდევ ერთი სურვილი ავუსრულეთ და ამიერიდან, „ვენდისის“ ორივე რესტორანში შეეძლება გამოიყენოს „ამერიკან ექსპრესის“ ბარათები.**

**წლის ბოლომდე კიდევ ორ რესტორანს გავხსნით. მომავალში კი, „ვენდისს“ ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას ვგეგმავთ. „ამერიკან ექსპრესის“ გამოყენება კი, მთელ ქსელში იქნება შესაძლებელი. ძალიან სასიამოვნოა, რომ „ვისოლ ჯგუფი“ და „საქართველოს ბანკი“, მეგობრების გარდა, პარტნიორებიც არიან“.**

საქართველოში „ამერიკან ექსპრესის“ ექსკლუზიური პარტნიორი „საქართველოს ბანკია”, როგორც ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნიკოლოზ გამყრელიძემ განაცხადა, მომხმარებელს, 2 თვის განმავლობაში American Express-ის ყველა ტიპის ბარათით, „ვისოლ ჯგუფის“ წევრ კომპანიებში — „ვისოლში“ „სმარტში“ და „ვენდისში“ სარგებლობისას, დაერიცხება გასამმაგებული MR ქულები და გასამმაგებული Cashback. **ნიკოლოზ გამყრელიძე: „საქართველოს ბანკი“ ზრუნავს მომხმარებლისთვის ექსკლუზიური პირობების შეთავაზებაზე და ყველას, ვინც 12 იანვრამდე American Express-ის ნებისმიერი ბარათით გადაიხდის „ვისოლ ჯგუფის“ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ბანკი საჩუქრად გადასცემს გასამმაგებულ MR ქულას და Cachback-ს. მოხარული ვართ, რომ „საქართველოს ბანკის“ American Express ბარათების გადახდის ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება. „ამერიკან ექსპრესით“ უკვე 100 ათასზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს, 4 ათასზე მეტ დაწესებულებაში. მათ რიგებს ჩვენი დიდი ხნის პარტნიორისა და მეგობრის, „ვისოლ ჯგუფის“ წარმატებული ბრენდი „ვენდისს“ მიემატა. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენ თანამშრომლობაში. უმნიშვნელოვანესია, რომ შემდეგი 2 თვე იქნება გასამმაგებული ქულები. მოვუწოდებ „ამერიკან ექსპრესის“ მომხმარებლებს და „ვისოლ ჯგუფის“ ერთგულ კლიენტებს, ხშირად იარონ „ვენდისში“, „სმარტსა“ და „ვისოლში“.**



უპრეცედენტო 2-თვიანი აქცია — გამოიყენეთ „ამექსის“ ნებისმიერი ტიპის ბარათი „ვისოლ ჯგუფის“ წევრ კომპანიებში „ვისოლში“, „სმარტში“ და „ვენდისში“ და მიიღეთ გასამმაგებული ქულები

სოსო ფხაკაძის განმარტებით, „ვისოლისა“ და „საქართველოს ბანკის“ 2-თვიანი აქცია და გასამმაგებული ქულებისა თუ „ქეშბექის“ მიღება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასაახალწლო პერიოდში.

*ნინო ლურსმანაშვილი*

პრობლემა

# გარევაჭრობა — ძველი და ახალი ხელისუფლების აქილევსის ქუსლი

## რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ გარემოვაჭრეების პრობლემის მოსაგვარებლად

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოვაჭრეებს საპატრულო პოლიციამ საქონელი ჩამოართვა. როგორც ერთ-ერთი მოვაჭრე ნონა ხურცილავა ყვება, მას დაახლოებით 500 ლარამდე ღირებულების საქონელი იმ დროს წაართვეს, როცა საწყობიდან დახლზე გასაყიდად გამოჰქონდა.

მოვაჭრეების ინფორმაციით, მათ საპატრულო პოლიცია, გარევაჭრობის გამო, 20 ან 100 ლარით ხშირად აჯარიმებს. გარემოვაჭრეებთან მივიდა უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელმაც გარევაჭრობის ლეგალიზაციაზე ისაუბრა. მისი თქმით, საჭიროა იყოს ადგილები, სადაც სანიტარული ნორმები დაცული იქნება, გარევაჭრობა კი — დაშვებული.

ექსპერტ **ჰამლეტ ჭიპაშვილის** განმარტებით, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში უმუშევრობაა, თვითდასაქმებულებისთვის საქონლის ჩამორთმევა და დაჯარიმება, წესრიგის დამყარება კი არა, დანაშაულია: **„მეგონა, ასეთი ამბები ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დასრულდა. ჩანს, ძველი დაავადება დღევანდელსაც გადმოყვა. ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემაა, ადამიანი თუნდაც ქუჩის ვაჭრობით რამდენიმე ლარს შოულობს და უნდა დააჯარიმო და ბოლო თეთრი წაართვა? ეს ძალიან ცუდი რეციდივია. ცხადია, ვერ ვიქნები მომხრე, მოსახლეობა ქუჩაში იდგეს და რაღაცას ყიდდეს, მაგრამ, როცა ქვეყანაში სხვა გამოსავალი არ არის, რა ქნან ამ ადამიანებმა, რით გამოკვებონ ოჯახი? ასეთ დამოკიდებულებას წერტილი უნდა დაესვას, მაგრამ ვინ გააკეთებს ამას? — ქალაქის თავს ნაკლებად აწუხებს არსებული მდგომარეობა. ნათქვამია, ახალი ცოცხი კარგად გვისო, მაგრამ თბილისის ქუჩებს დღეს „დაგვის“ არაფერი ეტყობა და არც სიახლე ჩანს ნარმანიას მმართველობაში. წვრილ მოვაჭრეებს საქონელს ართმევენ და აჯარიმებენ. პარალელურად, ვიღაც ბობოლები ამავე ტერიტორიაზე ერთ და ორსართულიან მაღაზიებს აშენებენ, თანაც პირდაპირ ტროტუარზე. ვაგზალზე, ისედაც გადატვირთულ, ათასი სავაჭრო ობიექტით სავსე ქუჩაზე, ერთსართულიანი მაღაზიები დაიდგა, რაც აღმაშფოთებელია. დეზერტირების ბაზრისკენ, სადაც ადრე ავტომანქანების სადგომი იყო, ორ რიგად ჩაამწკრივეს მარკეტები. არადა, გვერდზე „დინამოს“ სტადიონია და მისკენ გზა მთლიანად ჩახერგეს. ეს ქუჩები თავისუფალი უნდა ყოფილიყო სტადიონზე მასობრივ ღონისძიებებზე მოძრაობისთვის. ქალაქის მერი ამას თვალყურს არ ადევნებს და არც გარემოვაჭრეების პრობლემას აქცევს ყურადღებას. მთავარ გამოწვევას ყურადღებას არ უთმობენ — ჩანს, აქედან ფული აქვთ აღებული, თორემ ვინ გაბედავდა ამ ადგილებში მაღაზიების აშენებას? ან სპორტის სასახლის წინ ვინ გაბედავდა მცირე არქიტექტურული შენობების დადგმას? სპორტის სასახლეში თუ შეფრინდები, ისე ველარ შეხვალ, გზა სრულად ჩახერგილია. უკანონო ნებართვების გამცემმა ამაზე პასუხი უნდა აგოს. ეტყობა, ახალი მერი არაა განწყობილი, ქალაქს რეალურად მოუაროს. მთელი დღე თბილისის ქუჩებში უნდა იაროს და მიხვდება, რა ხდება. გოგებაშვილის ქუჩა ერთ-ერთი მაგისტრალია იმ თვალსაზრისით, რომ მანქანები ზემოდან, რუსთაველის პარალელურად გადადიან. ოთხი თვეა ეს ქუჩა დანგრეულია — მილებს აკეთებდნენ, ხალხი მტვერში იხრჩობა, წვიმაში კი კოჭამდე ტალახში**



**უწევთ გავლა. ამას არავინ აქცევს ყურადღებას. სტადიონთან, გადატვირთული ყიფიანის ქუჩა, ასევე ოთხი თვეა დანგრეულია, ყრია ხრეში და მტვრის ღრუბელი დგას. ამ ფონზე, როგორ დავიჯერო, მთავრობას სურს, ადამიანებმა უკეთ იცხოვრონ. ელემენტარული მოთხოვნაა, ქუჩა გადათხრილად 5 თვის განმავლობაში არ უნდა დატოვო, ხალხი ასეთ დაბინძურებულ გარემოში, მტვერში ტალახში არ უნდა ამყოფო. ამ მდგომარეობასთან მოვაჭრეები რა შესადარებელნი არიან? ვიცი, ქუჩას ისინიც ანაგვიანებენ, მაგრამ მათი ქმედება, ხელისუფლების დამოკიდებულებასთან შედარებით, უმნიშვნელოა. ეს ხალხი ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის. ხელისუფლებამ საშუალება არ მისცა, სხვაგვარად იშრომონ. ისინი თვითდასაქმებულნი არიან. ჩამოუარო და წაართვა, ნიშნავს, უბრალოდ შიმშილისთვის გაწირო. ეს წესრიგი კი არა, დანაშაულია“.**

ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. რამდენიმეჯერ აკრძალული გარევაჭრობა ნელ-ნელა ისევ გაჩნდა, რადგან ადამიანებმა არსებობის სხვა წყარო ვერსად მოძებნეს. გამოსავალი გარევაჭრობის მაქსიმალურ მოწესრიგებაშია, რათა თვითდასაქმებულებმა, ახალი პერსპექტივების გამოჩენამდე, ოჯახების რჩენა შეძლონ.



1. ლამპის საფარველი
2. მოცულობის საზომი აშშ-ში
3. შინაური სუსტი არაყი
4. მსუბუქი თვლემა
5. სპილენძის მათულის კოჭა (ელექტრ.)
6. ვაჭრობის მამოძრავებელი
7. ცხენის ასაკიდებელი ტვირთი
8. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
9. ლიბიის დედაქალაქი
10. ტბა ალასკაზე
11. მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშვნა
12. ხინკალზე მოსაყრელი სანელებელი
13. სიმღერა მუსიკალ. თანხლების გარეშე
14. თასმისებური პარაზიტი ჭია
15. შხამიანი ბუჩქი
16. მაუგლის მეგობარი დათვის
17. მდ. ვოლგის ძველი სახელწოდ.
18. რამე საბუთის მეორე პირი
19. ჭირკვლ. ორგანოების კეთილთვის. სიმსივნე
20. საქართველოს ექსარქმიერი
21. სასიგნალო ტივტივა წყალზე
22. დასვ. პარას. სალ. ორშაბათ დილამდე
23. ტბა ფინეთის ჩრდილოეთ ნაწილში
24. ზოლიანი ცხოველი
25. ჟოფრეის გვარი
26. ხელით სატარებელი პატარა ორთვალა
27. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
28. სპორტული ნაწარმის ფირმა
29. ...კამჩის ნაშიერი
30. რევაზ ლაღიძის ოპერა
31. „ვინი პუხის“ ავტორი
32. თვალის ფერადი გარსი
33. გათავისუფლებული ყმა
34. ათენის საფეხბ. კლუბი
35. ისრაელის წარმოების ავტომატი
36. ბიბლიური პატრიარქი
37. ძვირფ. თვლებით შემკული ყელსაბამი
38. ინდიელთა შხამი
39. ბედუინების მოსასხამი
40. დირიჟაბლების ასაგები და გასარემონტებელი ნაგებობა
41. ჰოლანდიური გვარების წინსართი
42. ჩრდ. ოსეთის საფეხბ. კლუბი
43. ბავშვთა დაავადება
44. იგივე ნაცია
45. თბილისის უბანი
46. ქართ. ანბანის ბოლო ასო
47. ლატვიის ფულის ერთეული
48. თანაბარი ანგარიში სპორტში
49. დიზაინერი ...-სენ ლორანი
50. ეკვატორული და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების ძირითადი მოსახლეობა
51. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
52. გერმანელი რომანტიკოსი პოეტი
53. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა
54. ბიბლიური აბრაამის მეუღლე
55. ვეტერანი ლიბერიელი ფეხბურთელი
56. ხმელთაშუაზღვისპირეთის მცენარეულობა
57. ჰიგიენური დაწესებულება
58. შხამიანი გომბეშო
59. გამარჯვების ქალღ. რომ. მითოლოგ.
60. ხმადაბლა – მუსიკაში
61. ვირის გასარეკი შეძახილი
62. დაბალზამბული გვამი

# ლუდი ტვინს ვნებს



დღეს საკამათო მოსაზრებები არსებობს ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებებზე. ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულები მის დადებითზე საუბრობენ, მოწინააღმდეგეებმა კი იმის მტკიცებულება იპოვეს, რომ ლუდი საკმაოდ მავნე ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით დაქვეითდეს. ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევის შედეგად აცხადებენ, რომ ლუდის სწორედ ეს რაოდენობა აჩლუნგებს ტვინს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ლუდის რეგულარული მომხმარებლები იძულებულნი არიან, ტვინის ჩვეულებრივზე 20%-ით მეტი სიმძლავრე გამოიყენონ, მარტივი ამოცანები რომ ამოხსნან. ექსპერიმენტებში მონაწილე მოხალისეთა ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1,5 ლიტრ ამ გამაგრილებელ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ სვამდა. მოგვიანებით, როცა მონაწილეები ფხიზლდებოდნენ, ტესტებს უტარებდნენ სხვადასხვა ციმციმა სიმბოლოებზე. აღმოჩნდა, რომ ლუდის მსმელთა ჯგუფი, შედეგების მისაღებად, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა, ვიდრე არამსმელები.

# ნახატებს ენით ქმნის



ჩინელმა მხატვარმა, იან სიამონმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, ნიჭი უჩვეულო მეთოდით გამოეხატა — მან სხვა შემოქმედებისგან განსხვავებით, ფუნჯის ნაცვლად, საკუთარი ენით ხატვა მოინდომა. საბედნიეროდ, იგი ორგანიზმისთვის მომწამვლელ საღებავებს არ იყენებს. ტილოს შესაქმნელად შაქარს ხმარობს. არსებობს ძველი ჩინური ტრადიცია, რომლის დროსაც მხატვრები შაქრის დახმარებით დრაკონს, მაიმუნს, თევზს, ჩიტს, ძაღლსა და ყვავილს გამოსახავენ. ამ საქმიანობისთვის განკუთვნილი პროდუქტის გემო ჩინელს ისე მოეწონა, გადაწყვიტა, საკუთარი ენით ხატოს. მისი წამოწყება წარმატებული აღმოჩნდა და იანმა მთელ ქვეყანაში უკვე ისე გაითქვა სახელი, მასტერკლასს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ერთი ნახატის შექმნა შემოქმედისთვის საკმაოდ მოკლე დროში — 40 წუთშია შესაძლებელი.

# სმარტფონზე დამოკიდებულებას განკურნავენ



იმ ადამიანებისთვის, ვინც გრძნობს, რომ სმარტფონზე დამოკიდებულება ემუქრება, ბაზარი ალტერნატიულ ნივთს — NoPhone-ს ამზადებენ. მოწყობილობა ჩვეულებრივ სმარტფონს ჰგავს, თუმცა ფუნქციები — განსხვავებული. მას არ აქვს ეკრანი, ღილაკები, არ იჭერს Wi-Fi-ს, არ შეუძლია ზარების განხორციელება და მესიჯების გაგზავნა, არ სჭირდება დატენვა. თუმცა, რაც დღეისთვის პოპულარულია, ამ სიახლით მაღალი ხარისხის სელფის გადაღებაა შესაძლებელი. ამ ფუნქციისთვის აპარატს სპეციალური სარკის ნაჭერი აკრავს. NoPhone-ის მისია, მისი შემქმნელების განცხადებით, ნომოფობიასთან ბრძოლაა, ანუ იმ ადამიანების დახმარება, ვისაც სმარტფონთან განშორება წუთითაც არ შეუძლია.

# ყველაზე დიდი „პატარა“ სიხარული



ადამიანის სიცოცხლის „პატარა“ სიხარულიდან ყველაზე სასიამოვნო კარგად გამოძინების შესაძლებლობა ყოფილა. ასეთი დასკვნა, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, ბრიტანელმა სწავლულებმა დადეს. უდიდესი პატარა სიამოვნებების ჩამონათვალში მეორე ადგილს საკუთარ ჯიბეში მოულოდნელად მცირე თანხის აღმოჩენა იკავებს. ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთათვის ასევე მთავარი „პატარა“ სიხარულია საყვარელ ადამიანთან ჩახუტება, შემდეგ მოდის სიცილი ცრემლებამდე, მერე — ლოგინში კოტრიალი. როგორც ჩანს, ბრიტანელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, საწოლის თეთრეული სუფთა იყოს — ეს სიამოვნება მეექვსე ადგილზეა, მას მოჰყვება მაღაზიებში სიარული და საჭირო ნივთების ფასდაკლებით შეძენა. პატარა სიამოვნებათა ათეულში შედის ასევე თანამოსაუბრის ღიმილის გამოწვევა და მოგონებებში ჩაძირვა. ბრიტანელებმა მცირე სიამოვნებების სიაში შეიყვანეს ასევე მშობლებთან სადილი, კომპლიმენტი, საწოლში წიგნის კითხვა, ცხელი სუპის მირთმევა, ზედმეტი წონის მოკლება, დილით საწოლში მოულოდნელად მირთმეული საუზმე, აღმოჩენა, რომ ადრე გაიღვიძე, მაგრამ დასვენების დღეა და სამსახურში არ მიდიხარ, უცნობები, რომლებიც ქუჩაში გიღიმიან, ძველი ალბომების დათვალიერება და პირველი თოვლი...

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 9 | 3 | | | 7 | | |
| | 6 | | | | | | 8 | |
| | | 4 | | | | 9 | 3 | 2 |
| | 3 | | 7 | | | | | 4 |
| | | | 1 | | 3 | | | |
| 4 | | | | | 2 | | 1 | |
| 3 | 5 | 7 | | | | 8 | | |
| | 9 | | | | | | 7 | |
| | | 6 | | | 7 | 2 | | 1 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 2 | | | 1 | 6 | 9 | |
| 8 | | | | | | | 4 | |
| | | | | | 9 | | 2 | |
| | 6 | | | 9 | 4 | 2 | 8 | |
| 9 | | | | | | | | 4 |
| | 3 | 8 | 5 | 7 | | | 6 | |
| | 4 | | 1 | | | | | |
| | 9 | | | | | | | 5 |
| | 8 | 5 | 9 | | | 4 | 1 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | 6 | | | 4 | |
| | | 6 | 5 | | | 1 | | 8 |
| | 4 | | | | | 7 | | 6 |
| | | | | | 4 | 3 | | |
| | 2 | | | 9 | | | 6 | |
| | | 3 | 8 | | | | | |
| 6 | | 2 | | | | | 5 | |
| 7 | | 8 | | | 5 | 6 | | |
| | 9 | | | 7 | | | | 1 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | | | | 9 | |
| 2 | | | | 7 | 1 | 8 | | 5 |
| | | | | | 6 | | | 2 |
| 9 | | | | 4 | | 7 | | |
| 3 | | | | | | | | 4 |
| | | 4 | | 3 | | | | 1 |
| 7 | | | 6 | | | | | |
| 5 | | 6 | 8 | 2 | | | | 3 |
| | 9 | | | | | | 5 | |

# ქალისთვის მავნე პროფესიები



მასშტაბური კვლევის შედეგად მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდივნის, სტიუარდესას, მასწავლებლისა და გამყიდველის პროფესიები საფრთხეს უქმნის ქალების ჯანმრთელობას. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, მშვენიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვინც მდივნებად მუშაობენ, შესაძლოა, ხელის მტევანზე ნერვული დაბოლოებების პრობლემები შეექმნათ, რაც შეიძლება, ზურგისა და სახსრების ტკივილში გადაიზარდოს და უფრო სერიოზული პრობლემების მიზეზი გახდეს. პედაგოგებს ქრონიკული პრობლე-მები აქვთ ხმის ტემბრთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ხშირად ანგინა და ტონზილიტი ვითარდება. ამ პროფესიის წარმომადგენელი ქალები ადვილად ავადდებიან ვირუსული ინფექციებით, რადგან გამომშრალი ყელი მიკრობებს ადვილად იზიდავს. სტიუარდესები მუშაობისას უამრავ ნეგატიურ ფაქტორს აწყდებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, სასაათე სარტყელის გამუდმებული ცვლა მათ ბიორიტმს არღვევს. რაც შე-ეხება გამყიდველებს, რომლებიც დიდ დროს ფეხზე დგანან, ისინი ძირითადად, ვენების ვარიკოზული გაგანიერებისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე.

# სად ცხოვრობენ ყველაზე დეპრესიულები

მსოფლიოში დეპრესიის ყველაზე მაღალი დონე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ფიქსირდება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სწავლულები ქვინსლენდის უნივერსიტეტიდან, რომელთაც ჩვენს პლანეტაზე დეპრესიის გავრცელების რუკაც შეადგინეს. კვლევისას გამოიყენეს ამ სენის გავრცელებისა და ხანგრძლიობის შესახებ მონაცემები, მსოფლიოს ამა თუ იმ წერტილში დეპრესიის ხარისხი რომ განესაზღვრათ. მეცნიერთა აზრით, აღნიშნული დაავადება მეორეა მსოფლიოში, რაც ადამიანის შრომისუუნარობის მიზეზი ხდება. ასეთი დიაგნოზი კი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 4%-ს აქვს. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ასეთი ადამიანები შესაძლოა, უფრო მეტნი იყვნენ, მა-გრამ იმ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ, დეპრესიულები ცოტანი არიან. შესაძლოა, ამით აიხსნას დაავადების უჩვეულოდ დაბალი დონე ერაყში. ფსიქიკურ დაავადებებთან დაკავშირებით ტაბუ შესაძლოა დეპრესიის დაბალი დონის მიზეზი იყოს აღმოსავლეთ აზიაშიც, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, კვლევა მაინც ასახავს რეალურ ვითარებას მსოფლიოში. მოსახლეობის 5%-ზე მეტს ტანჯავს დეპრესია ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში. ამავე დროს, დეპრე-სიის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აზიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.






# ყურძენი ბამბის ნაყინის გემოთი

კალიფორნიელმა მევენახეებმა ყურძნის ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომელიც გემოთი და არომატით ბამბის ნაყინს ჰგავს. ახალი ჯიში სელექციის შედეგადაა მიღებული. ბოტანიკოსმა დევიდ კეინმა 100 ათასზე მეტი ცდა ჩაატარა ყურძნის სხვადასხვა ჯიშის შე-ჯვარების მიზნით, მისი უნიკალური სახეობა რომ მიეღო. ამჟამად ბამბის ნაყინის გემოს მქონე ყურძენი აშშ-ს მაღაზიებში იყიდება. მიუხედავად საკმაოდ მაღალი ფასისა — კილოგრამი 12 დოლარი ღირს — საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 8 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 7 | 1 | 5 | 2 | 6 | 4 |
| 6 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 5 |
| 8 | 4 | 6 | 1 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 9 | 7 | 2 | 5 | 8 | 6 | 4 | 1 |
| 2 | 5 | 1 | 4 | 3 | 6 | 9 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 7 | 8 | 1 | 6 |
| 1 | 6 | 3 | 5 | 8 | 4 | 7 | 2 | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 5 | 2 | 4 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 9 | 8 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 | 7 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 7 | 4 | 1 | 8 | 2 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 7 | 5 | 8 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 7 | 4 | 8 | 6 |
| 4 | 8 | 9 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 7 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 1 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 | 6 | 3 | 8 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 2 | 6 | 8 | 9 | 4 | 1 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 4 | 6 | 3 | 8 | 1 | 9 | 2 |
| 9 | 3 | 1 | 2 | 7 | 5 | 8 | 6 | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 3 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 8 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 8 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 3 | 7 | 4 | 6 | 5 | 9 |
| 5 | 6 | 4 | 8 | 1 | 9 | 3 | 2 | 7 |
| 1 | 4 | 7 | 2 | 3 | 8 | 9 | 6 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 4 | 5 | 1 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 3 | 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 1 | 4 |

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 9 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 9 |
| 6 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 | 2 | 8 | 4 |
| 9 | 5 | 8 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 8 | 2 | 9 | 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 5 | 3 | 7 | 4 | 9 | 1 | 8 | 2 | 6 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 8 | 5 | 9 | 7 | 3 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 1 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 1 |
| 6 | 7 | 4 | 8 | 1 | 9 | 3 | 2 | 5 |
| 8 | 5 | 3 | 2 | 7 | 6 | 1 | 4 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 5 | 4 | 3 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 3 | 6 | 7 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 |
| 5 | 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 |
| 4 | 8 | 9 | 3 | 5 | 1 | 2 | 6 | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 8 | 4 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 6 |
| 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 5 |
| 2 | 3 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 7 | 9 |
| 5 | 1 | 6 | 7 | 9 | 3 | 2 | 4 | 8 |
| 9 | 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 6 | 1 | 3 |
| 7 | 9 | 5 | 2 | 4 | 8 | 3 | 6 | 1 |
| 6 | 2 | 3 | 9 | 7 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 4 | 8 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 | 2 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 4 | 5 | 3 | 6 | 9 | 8 | 2 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 3 | 8 | 1 | 6 | 5 | 2 | 4 | 9 | 7 |
| 7 | 6 | 9 | 4 | 1 | 3 | 2 | 5 | 8 |
| 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 |
| 2 | 1 | 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 4 | 5 |
| 6 | 5 | 7 | 3 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 3 |

მე-10 გვერდი: 1. აბისინია; 2. ალოე; 3. შლიმანი; 4. დიქცია; 5. ჰერმესი; 6. უილ; 7. იონი; 8. მანაგუა; 9. სუთი; 10. ბალალაიკა; 11. რვალი; 12. აზიმუტი; 13. რუმინეთი; 14. მნე; 15. სპერმაცეტი; 16. ვაზი; 17. თირკმელი; 18. ჰეროდე; 19. გირაო; 20. სლენგი; 21. ტუია; 22. ავანგი; 23. ნეთანიაჰუ; 24. მილი; 25. ჰელე; 26. ტირე; 27. ანგარი; 28. ლაგი; 29. სერვერი; 30. ვორონეჟი; 31. ნეკი; 32. აკრი; 33. ერიდა; 34. ინა; 35. ლუსტრა; 36. ჰაე; 37. დიალოგი; 38. თამრო; 39. ალიბი; 40. ეტიოლოგია; 41. ტევიე; 42. გნუ; 43. ევრიკა; 44. ალაო; 45. თამარინდი; 46. ორე; 47. ალტაი; 48. შალე; 49. ეტა; 50. ინდი; 51. რეა; 52. „რეალი“'; 53. ვენა; 54. მილედი; 55. ტუ; 56. ერბო; 57. ალა; 58. ოლე; 59. ტიმ; 60. კობი; 61. იაგო; 62. ლივ; 63. რაჟა; 64. ორბიტა; 65. იო; 66. ბუი; 67. მერილ; 68. კილერი.

მე-12 გვერდი: 1. ტოროლა; 2. ენტომოლოგია; 3. ნეკროლოგი; 4. ომნიბუსი; 5. ტუგრიკი; 6. რავიოლი; 7. ლორი; 8. სკუნსი; 9. რელე; 10. კიჩო; 11. გევარა; 12. შერემეტიევო; 13. პირიმზე; 14. ორბი; 15. ორუელი; 16. შოვი; 17. ლევი; 18. გეიმი; 19. ოსლო; 20. რიფი; 21. ფიცხელა; 22. ემი; 23. ადაპტაცია; 24. ცვილი; 25. ოინა; 26. ხიმე; 27. ეისებიო; 28. მაცა; 29. ცოცხი; 30. ანტრე; 31. ტიარა; 32. ხობი; 33. სარიდანი; 34. ლაფანყური; 35. ციმორი; 36. „ნესტლე“; 37. დევი; 38. ამანი; 39. სამბო; 40. სკალპი; 41. აიალა; 42. აპია; 43. ანოა; 44. პილატე; 45. ეტი; 46. იურისტი; 47. საუნა; 48. „მაკნატუნა“; 49. ქცია; 50. აფერა; 51. ავი; 52. აკმე; 53. აარე; 54. ნოკაუტი; 55. დონა; 56. საპაჟუ; 57. ლენინი; 58. ელვა; 59. რეალია; 60. ზურნა; 61. ცვიკაუ; 62. მარსალა; 63. ვადა; 64. ეტა; 65. ტენცო; 66. რეიდი; 67. არტერია' 68. რუმბი; 69. ესპანური; 70. ფია; 71. ასი; 72. ტალინი; 73. მანეჟი; 74. ალ; 75. ლია; 76. ზმნა; 77. ბრი; 78. აია; 79. აზალია; 80. ისლი; 81. ვარია; 82. ელა; 83. ამირა; 84. ხვალ.



1. მიხვეულ-მოხვეული გზა მთაში
2. ტანზანიის დედაქალაქი
3. ძველი ასურეთის ლეგენდარული დედოფალი
3. ქაღალდის გრაგნილი
4. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი
5. ძველად – პატარა სასადილო
6. აკოფის გვარი „ხანუმაში“
7. აკაკი წერეთლის ძიძის სახელი
8. მოზაიკაში ხმარებული ფერადი ქვა
9. აბელის და კაენის მამა
10. დიდი ინგლისელი კომიკოსი
11. მენავე მიწისქვეშა სამეფოს მდინარეზე ბერძ. მით.
12. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
13. წიწვოვანი ხე
14. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში
15. აფრიკული შხამიანი გველი
16. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
17. ჯუზეპე ვერდის ოპერა
18. ინდური კობრა
19. გერასიმეს ძაღლი
20. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე
21. პატარა დროშა
22. დავით აღმაშენებლის შუათანა ასული
23. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
24. ვარდობისთვე
25. ვაზების მწკრივი ვენახში
26. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი
27. საზღვაო მოგზაურობა
28. კრების მონაწილეთა სავალდებულო რაოდენობა
29. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
30. ფლორენციის სამხატვრო მუზეუმი
31. გოეთეს დრამა
32. ბარბის ბოიფრენდი
33. ნახატი, რომელზეც ბუნებაა ასახული
34. 1968 წ. ზამთრის ოლიმ. მასპინძ. ქალაქი
35. იგივეა, რაც არჩვი
36. გემის ბოლო ნაწილი
37. შუშანიკის მეუღლე
38. იგივეა, რაც ჰემიკრანია
39. ესკიმოსთა სატვირთო ნავი
40. „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი
41. იუპიტერის მეუღლე
42. მიმართვა გერმანელი ქალისადმი
43. მეფე დავით VII-ის მეტსახელი
44. „ვეფხისტყაოსნის“ უნგრელი ილუსტრატორი
45. ბიბლიის პირველი ხუთი წიგ-ნის სახელი
46. თურქული ტელესერიალი „ქალბატონი ...“
47. უმად შეკაზმული ნიგვზის წვენი
48. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული
49. იაპონიის კუნძული
50. ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლი
51. ცხრა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
52. ავი სული, ეშმაკი ყურანში
53. ინგლისის უდიდესი სტადიონი
54. მადონას ნამდვილი სახელი
55. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
56. ამაზონის მტაცებელი თევზი
57. პერუს დედაქალაქი
58. მსხვილი რქოსანი საქონლის ჯოგი
59. სოციალური ჯგუ-ფის გარეთ მყოფი ადამიანი
60. გიორგი სააკაძის თავმოჭრილი ვაჟი
61. რუსი პოეტი
62. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
63. კომპოზიტორი ... მორიკონე
64. ნახვამდის! – ფრანგულად
65. ბინძური თავლების პატრონი
66. დაბალი ფასის მქონე ანუ ...
67. მწვანე ფერის ნახევრად ძვირფასი ქვა
68. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
69. სოფელი ონის რაიონში
70. დიდი ხნის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
71. ტბა აფრიკაში
72. ძროხის ნაშიერი
73. ფრიქსესა და ჰელეს მამა
74. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
75. ნიგერიის ფულის ერთეული
76. ჰოლივუდის ლეგენდარული მსახიობი ... ჰეპბერნი
77. ამერიკელი მსახიობი მიშელ ...
78. ინდოეთის საკურორტო შტატი
79. ერთ-ერთი სამიებო სისტემა
80. ამერიკელთა მეტსახელი
81. ნაბიჯი ბალეტში
82. კალათბურთის „დაფა“
83. შეჯიბრება ავტომობილებით რბოლაში
84. ძალზე უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა, მოჩვენება
85. ძვ. ქართული წონის ერთეული



## კოსმოსში „სასაფლაოს“ მოაწყობენ

ამერიკული კომპანია Elysium Space გვთავაზობს სიკვდილის შემდეგ ნეშტის კოსმოსში „დამარხვას“. კრემირებულ გვამს დაბალ ორბიტაზე 1990 დოლარის საფასურად წაიღებენ. რამდენიმე თვის განმავლობაში ფერფლიანი ურნა დედამიწის ირგვლივ იტრიალებს, შემდეგ კი ატმოსფეროს დაუბრუნდება და დაიწვება. მიცვალებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს საშუალება ექნებათ, თვალი ადევნონ საყვარელი ადამიანის ფერფლის უკანასკნელ გზაზე გაცილებას შესაბამისი მოწყობილობების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, სასაფლაო „საძმო“ იქნება, რადგან კოსმოსში ერთბაშად 80 კაფსულას გაგზავნიან გარდაცვლილთა ფერფლით. ახლობლების სურვილის მიხედვით, კაფსულაზე გამოსათხოვარი სიტყვების დაწერაც იქნება შესაძლებელი. Elysium memorial-ის კოსმოსურ ხომალდებს, რომელიც ფერფლიან ურნას წაიღებს, დიდ კომერციულ ან სამეცნიერო თანამგზავრებთან ერთად გაუშვებენ კანავერალის კონცხიდან.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.